პროლეტარიანებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

სკკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და სკკ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ORGAN ORGAN ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

КОМУНИСТИ

კვირა, 3 ოქტომბერი, 1943 წ. № 207 (6832). ფასი 20 კაპ.

ბრძანება

უმაღლესი მთავარსარდლისა

გენერალ-მაიორ ენშინის 307-ე მსროლელ დივიზიას, პოლკოვნიკ კაზაკევიჩის 399-ე მსროლელ დივიზიას, გენერალ-მაიორ სმირნოვის 73-ე მსროლელ დივიზიას, პოლკოვნიკ ოგბოდოვსკის 193-ე სატანკო პოლკს, მაიორ ლეონტიევის 115-ე სანაღმმტყორცნო პოლკს, მაიორ ვოგლოვის გვარდიის 84-ე სანაღმმტყორცნო პოლკს და პოდპოლკოვნიკ ერისტოვის 1184-ე გამანადგურებელ ტანკსაწინააღმდეგო არტილერიის პოლკს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ქალაქ ნოვოზიბკოვის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში, მიეკუთვნოთ სახელწოდება „ნოვოზიბკოვსკისა“ და ამიერიდან ასინი იწოდებოდნენ:

ნოვოზიბკოვის 307-ე მსროლელი დივიზია,
ნოვოზიბკოვის 399-ე მსროლელი დივიზია,
ნოვოზიბკოვის 73-ე მსროლელი დივიზია,
ნოვოზიბკოვის 193-ე სატანკო პოლკი,
ნოვოზიბკოვის 115-ე სანაღმმტყორცნო პოლკი,
ნოვოზიბკოვის გვარდიის 84-ე სანაღმმტყორცნო პოლკი,
ნოვოზიბკოვის 1184-ე გამანადგურებელი ტანკსაწინააღმდეგო არტილერიის პოლკი.

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1943 წ. 2 ოქტომბერი.

ვთესოდ სწრაფად და მაღალხარისხოვნად

საქართველოს საკოლმეურნეო მინდვრებზე მასობრივად გაჩაღდა საშემოდგომო ხვნა-თესვა. უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალის ამხანაგ სტალინის ბრძანებებსა და გმირი წითელი არმიის ძლევამოსილ შეტევას სამამულო ომის ფრონტებზე სოფლის მეურნეობის მუშაკები ახალი სახელოვანი საქმეებით უპასუხებენ. წელს თესვა საქართველოში უფრო ორგანიზებულად სწარმოებს, ვიდრე შარშან. მიმდინარე წლის 25 ნოემბრისათვის საქართველოს კოლმეურნეობებში დათესილი იყო 27.113 ჰექტარით მეტი საშემოდგომო კულტურები შარშანდელთან შედარებით. სწრაფი ტემპით შეუდგნენ თესვას დუშეთის, თიანეთის, მცხეთის, გორის და საგარეჯოს რაიონები. წითელი არმიის ბრწყინვალე გამარჯვებათა სიპასუხოდ ხაშურის რაიონის სოფ. ტეზრის კოლმეურნეობამ იკისრა 10 ჰექტარი საშემოდგომო ხორბლის დათესვა სახელმწიფო გეგმის გადამეტებით, ამავე რაიონის სოფ. ნაბახტევის კოლმეურნეობამ კი 13 ჰექტარის დათესვა. ამ მოწინავე კოლმეურნეობათა მაგალითი ყოველმხრივ მისასალმებელია. სათესი ფართობების გაზრდას უდიდესი მნიშვნელობა აქვს განსაკუთრებით ახლა, დიდი სამამულო ომის დღეებში.

ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების, საბჭოთა და სამეწარმეო ორგანოების და სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკის საბრძოლო ამოცანაა ბოლშევიკურად ჩაატარონ თესვა. თუ დავაგვიანეთ საშემოდგომო კულტურების დათესვა, მაშინ ისინი ვერ მოასწრებენ განვითარებას სიცივეების დაწყებამდე და ჯეჯილს დაზრდა მოელის. მოსავლის უდანაკარგოდ აღების, პურის ლეწვის, სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებათა შესრულების ტემპების შეუნელებლად მთელი ძალები დავრაზმოთ საშემოდგომო თესვის სანმეშოდ ჩატარებისათვის. უნდა ვთესოთ სულ უფრო და უფრო მზარდი ტემპებით. სერიოზული ყურადღება მივაქციოთ ხვნისა და თესვის ხარისხს, არ დავუშვათ მოხვნისას ხარვეზები, ნიადაგი მოვხვნათ დაწესებულ სიღრმეზე, მტკიცედ დავიცვათ თესვის ნორმები. აგროტექნიკურ ღონისძიებათა დაცვით უზრუნველყოთ მომავალ წელს მაღალი მოსავლის მიღება.

საშემოდგომო კულტურების თესვის წარმატებით ჩატარებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს იმიტომაც, რომ ამ კულტურებს დიდი ადგილი უკავიათ საქართველოს პურის ბალანსში. ამჟამად კლიმატური პირობები ყოველმხრივ ხელს უწყობენ თესვის სწრაფი ტემპებით გაჩაღებას. კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და მტს-ებმა ხელიდან არ უნდა გაუშვან ეს საუკეთესო დრო. ოქტომბერი საშემოდგომო თესვის სახელმწიფო გეგმის შესრულების გადამწყვეტი თვეა. ახლა ძვირფასია თითოეული დღე, თითოეული საათი—ეი რაუნდა იქნას გათვალისწინებული. მაგრამ ყველა რაიონში როდი მოახერხეს საშემოდგომო თესვისათვის ხელსაყრელი პირობების გამოყენება. ზოგიერთი რაიონი და კოლმეურნეობა ჯერ კიდევ ნელი ტემპებით აწარმოებს საშემოდგომო ხვნა-თესვას. საქმიწსახკომის 25 სექტემბრის ცნობებით, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებს თესვის გეგმა შესრულებული ჰქონდათ მხოლოდ 0,1 პროცენტით, ხაშურის რაიონისას—0,8 პროცენტით. არადამაკმაყოფილებელია თესვის ტემპები ახალციხის რაიონის კოლმეურნეობებში. ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, საბჭოთა და სამეწარმეო ორგანოებმა შექმნილი მდგომარეობიდან ყველა დასკვნები უნდა გააკეთონ და გადაჭრით გაძლიერონ თესვის ტემპები.

უხვი მოსავლის მიღება ბევრად არის დამოკიდებული თესლის ხარისხზე. მოწინავე კოლმეურნეობანი ტყუილად როდი სთვლიან კარგ თესლს თავის ოქროს ფონდად. განა შესაწყნარებელია ის, რომ ახალციხის რაიონის სოფ. ჭარალის კოლმეურნეობის ხელმძღვანელები აჭიანურებენ სათესლე მასალის მომზადებას? თესლეულის გაწმენდა ჭიანურდება ახალქალაქისა და თელავის რაიონებში. ყოველივე ეს გვიკარნახებს გადამჭრელი ზომები მივიღოთ თესლის დროულად გაწმენდისა და სრულ ვარგისიანობაში მოსაყვანად.

სატრაქტორო პარკის მაღალნაყოფიერი მუშაობის უზრუნველყოფა თესვის წარმატებით ჩატარების მძლავრი პირობაა. ერთხელ და სამუდამოდ აღვკვეთოთ მინდვრად ტრაქტორების გაცდენა. ზოგიერთი კოლმეურნეობის ხელმძღვანელები დროულად არ აწვდიან მტს-ის სატრაქტორო ბრიგადებს საწვავ მასალას, წინასწარ არ აწმენდენ მოსახნავ ნაკვეთებს. ასეთი ფაქტების შესახებ იტყობინება „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი სიღნაღის რაიონიდან. უზრუნველვყოთ ყველა მტს-ის მიერ ხვნა-თესვის გეგმის შესრულება,—ასეთია ამოცანა.

საშემოდგომო ხვნა-თესვის სამუშაოებზე მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ცოცხალი გამწევი ძალა. „ტრაქტორი ტრაქტორია, მაგრამ ომიანობის დროს გამოყენებულ უნდა იქნას თითოეული ცოცხალი გამწევი ძალაც. ნაკლები მოვთხოვოთ სახელმწიფოს, მეტი მივცეთ სახელმწიფოს—ასე აღწევენ გამარჯვებას“. (მ. ი. კალინინი).

საკოლმეურნეო სოფელში დიდი საწარმოო აღმავლობაა. საქართველოს მშრომელები მთელი საბჭოთა კავშირის ხალხებთან ერთად უდიდესი სიხარულით შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებს ამხანაგ **სტალინის** მებრძოლი თანამოსაგრეებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭებისა და ლენინის ორდენის და ოქროს მედალ „ნამგალი და უროს“ გადაცემის შესახებ. საკოლმეურნეო სოფლის მუშაკები ახალ ვალდებულებებს კისრულობენ და აძლიერებენ ფრონტისადმი დახმარებას.

ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება საკოლმეურნეო სოფელში საშემოდგომო თესვის სახელმწიფო გეგმის მთლიანად და გადამეტებით შესრულებისათვის, ვთესოთ სწრაფად, მაღალხარისხოვნად და მით მზარდი დახმარება გავუწიოთ სახელოვან წითელ არმიას, რომელიც დასავლეთისაკენ მიერეკება და სპობს გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

წითელი არმიის არტილერიის ოფიცერთა და სერჟანტთა შემადგენლობისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის მიენიჭოთ **საბჭოთა კავშირის გმირის** წოდება და გადაეცეთ **ლენინის** ორდენი და მედალი **„ოქროს ვარსკვლავი“:**

1. ლეიტენანტ ალექსანდრე **გერასიმეს-ძე გუბარს**
2. სერჟანტ **სერგი** მიხეილის-ძე **ოვინიკოვს.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1943 წ. 29 სექტემბერი.

ავიაციის მარშალს ა. ე. გოლოვანოვს გადაეცა „მარშლის ვარსკვლავი“

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კალინინმა გუშინ, 2 ოქტომბერს, საღამოს კრემლში მარშლის განმასხვავებელი ნიშანი „მარშლის ვარსკვლავი“ გადასცა ავიაციის მარშალს ა. ე. გოლოვანოვს (საკდესი).

მაიორ თ. გ. სალარაძის დაჯილდოება

ფრონტის უზრუნველსაყოფად ოპერატიული მოსამარაგებელი ტვირთზიდვის საქმეში სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულია წითელი არმიის სამხედრო მომოსვლათა გენერალის, ოფიცერთა, სერჟანტთა, რიგითი და თავისუფალ დაქირავებულთა შემადგენლობის ჯგუფი. მათ შორის **წითელი ვარსკვლავის** ორდენით დაჯილდოებულია მაიორი თადეოზ გიორგის-ძე **სალარაძე.**

პარჯიზანი ა. გ. კაველიძის დაჯილდოება

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ პარტიზანულ ბრძოლაში გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულია პარტიზანი **ალექსანდრე გიორგის-ძე კაველიძე.**

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

2 ოქტომბრის ოპერაციული ცნობა

2 ოქტომბრის განმავლობაში ტამანის ნახევარკუნძულზე ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს მტრის ძლიერ გამაგრებული დასაყრდენი პუნქტები **სტაროტიტაროვსკაია, კრასნაია სტრელა, ვოზროჟდენიე.**

**ბოგ

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება

მოსკოვში შესდგა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება.

კრება გახსნა აკადემიის პრეზიდენტმა ვ. ლ. კომაროვმა. თავის სიტყვაში მან ლაპარაკი მეცნიერების ზრდაზე ჩვენს ქვეყანაში, ომაზე, თუ როგორ თავდადებით შრომობენ სამშობლოსათვის საბჭოთა მეცნიერები, ხელს უწყობენ წითელი არმიის ძლიერების განმტკიცებას.

შემდეგ კრებამ მოისმინა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მდივნის აკადემიკოს ნ. გ. ბრუევიჩის მოხსენება აკადემიის სამეცნიერო მოღვაწეობაზე 1942 წლის განმავლობაში და 1943 წლის სამეცნიერო მუშაობაზე.

დიდი ინტერესით მოისმინა კრებამ აკადემიის პირველი ვიცე-პრეზიდენტის ა. ა. ბაიკოვის შინაარსიანი მოხსენება აკადემიის 1944 წლის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების გეგმის ძირითადი საფუძვლების შესახებ.

კრების მონაწილეებმა უდიდესი ენტუზიაზმით მიიღეს მისალმებანი ამხანაგ სტალინისა და მოლოტოვისადმი, ფგრეთვე წითელი არმიისადმი.

მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი სხდომა მიეძღვნა დიდ რუს მეცნიერთა კ. ა. ტიმირიაზევისა და ნ. ი. ლობაჩევსკის ხსოვნას. გამოჩენილი მეცნიერი-რევოლუციონერის კ. ა. ტიმირიაზევის მოღვაწეობის შესახებ მოხსენება გააკეთა აკადემიის პრეზიდენტმა ვ. ლ. კომაროვმა. მოხსენებით „ნ. ი. ლობაჩევსკი და რუსული მეცნიერება“ გამოვიდა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი პროფესორი პ. ს. ალექსანდროვი.

შემდგომ სხდომაზე აღნიშნულ იქნა მოღვაწეობა დიდი საბჭოთა მეცნიერის, სოციალისტური შრომის გმირის ა. ნ. კრილოვისა, რომლის დაბადების 80 წლისთავი აღინიშნა მიმდინარე წლის ზაფხულში.

კრებამ მოისმინა აკადემიკოსების ვ. ა. ობრუჩევის, ე. ნ. პაველოვსკის, ა. ნ. ტერენინის, პ. ლ. კაპიცას და ა. დ. სპერანსკის მოხსენებანი.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებაზე მოხდა აკადემიის ნამდვილ წევრთა არჩევნები და აკადემიის წევრ-კორესპონდენტთა არჩევნები.

აკადემიის ნამდვილ წევრებად არჩეულია 36 კაცი.

ახალ აკადემიკოსთა შორის არიან უძველესი საბჭოთა მეცნიერები და ნიჭიერი მეცნიერი ახალგაზრდობა, მეცნიერების მრავალი დარგის მოღვაწენი.

ფიზიკურ-მათემატიკურ მეცნიერებათა განყოფილების ხაზით არჩეული არიან ა. ი. ალიხანოვი, ი. ვ. კურჩატოვი, ა. ა. ლებედევი, ვ. ი. სმირნოვი, ს. ა. ხრისტიანოვიჩი.

ქიმიურ მეცნიერებათა განყოფილების ხაზით: მ. ვ. დუბინინი, ა. ნ. ნესმეიანოვი, ვ. მ. როდიონოვი, ი. ი. ჩერნიაევი.

გეოლოგიურ-გეოგრაფიულ მეცნიერებათა განყოფილების ხაზით: დ. ს. ბელიანკინი, ფ. პ. სავარენსკი, ს. ს. სმირნოვი, ა. ი. პოლკანოვი.

ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილების ხაზით: ა. ა. ზავარზინი, ნ. დ. სტრაჟესკო, ვ. ნ. სუკაჩევი.

ტექნიკურ მეცნიერებათა განყოფილების ხაზით: ა. ა. ბლაგონჩავოვი, ბ. ა. ვვედენსკი, ლ. ს. ლეიბენსონი, ა. ა. მიკულინი, გ. პ. პერედერი, ს. პ. სირმიანტნიკოვი, ბ. ნ. იურიევი.

ისტორიისა და ფილოსოფიის განყოფილების ხაზით: ბ. ვ. ასაფიევი, ვ. ა. ეფსინი, რ. ი. ვიპერი, ი. ე. გრაბარი, ს. ნ. ჯანაშია, ვ. პ. პოტიომკინი, ა. ვ. შჩუსევი.

ეკონომიკისა და სამართლის განყოფილების ხაზით: ნ. ა. ვოზნესენსკი, ლ. ნ. ივანოვი.

ლიტერატურისა და ენის განყოფილების ხაზით: ს. ა. კოზინი, ა. ე. კორნეიჩუკი, ს. ნ. სერგეევ-ცენსკი, ლ. ვ. შერობა.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტებად არჩეულია 58 კაცი. ბევრ მათგანს მთელი ჩვენი ქვეყანა იცნობს, როგორც ახალი სახის საჭურვლის შემქმნელთ წითელი არმიისათვის, თავთმფრინავებისა და მოტორების ნიჭიერ კონსტრუქტორებს, მეცნიერებს, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს სამშობლოს ეკონომიური და სამხედრო ძლიერების განმტკიცების საქმეში, მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგის გამოჩენილ მოღვაწეებს, მათ შორის საპატიო ადგილი ეკუთვნით საბჭოთა მეცნიერების ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებს.

ფიზიკურ-მათემატიკურ მეცნიერებათა განყოფილების ხაზით არჩეული არიან: ა. პ. ალექსანდროვი, მ. ვ. კელდიში, ი. ა. კიბელი, ი. კ. კიკოინი, პ. პ. კობეკო, ტ. პ. კრავეცი, ა. ა. მიხაილოვი, ს. ვ. ორლოვი, ი. გ. პეტროვსკი.

ქიმიურ მეცნიერებათა განყოფილების ხაზით: ბ. ა. არბუზოვი, ა. ა. ბალანდინი, ა. ი. ბროდსკი, ა. პ. ვინოგრადოვი, ა. ა. გრინბერგი, ს. ნ. დანილოვი, ბ. ა. კაზანსკი, ვ. ნ. კონდრატიევი, ს. ს. მედვედევი, ბ. ა. ნიკიტინი, ი. კ. სირკინი, ს. ნ. უმანოვი.

გეოლოგიურ-გეოგრაფიულ მეცნიერებათა განყოფილების ხაზით: ი. ი. გორსკი, დ. ს. კორენსკი, კ. ი. სატპაევი, ნ. ა. ციტოვიჩი, ნ. ს. შატსკი.

ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილების ხაზით: პ. ა. ბარანოვი, დ. ნ. ნასონოვი, ა. ი. სმირნოვი, გ. ნ. სპერანსკი, ვ. კ. შიშკინი.

ტექნიკურ მეცნიერებათა განყოფილების ხაზით: ა. ი. ბერგი, ბ. ნ. ვედენისოვი, ვ. ი. დიკუშინი, ა. ა. ილიუშინი, ვ. ი. კლიმოვი, ა. გ. კოსტიკოვი, ბ. ვ. სტარკი, ნ. გ. ჩეტაევი, ა. ს. იაკოვლევი, მ. ი. იანოვსკი.

ისტორიისა და ფილოსოფიის განყოფილების ხაზით: შ. ი. ამირანაშვილი, მ. ვ. დობროკლონსკი, ვ. ნ. ლაზარევი, ა. ა. მაქსიმოვი, ა. ვ. ოსოვსკი, ს. ლ. რუბინშტეინი, ს. დ. სკაზკინი, კ. ვ. ტრეგერი, ა. ი. იაკუბოვსკი.

ეკონომიკისა და სამართლის განყოფილების ხაზით: პ. ი. ლიაშჩენკო, მ. ვ. პტუხა, ტ. ს. ხაჩატუროვი.

ლიტერატურისა და ენის განყოფილების ხაზით: ვ. პ. ანდრიანოვა-პეტრეტი, ს. დ. ბალუხატი, ნ. კ. დმიტრიევი, ე. ს. ისტრინა, ნ. ვ. იუშმანოვი.

30 სექტემბერს საზეიმო ვითარებაში შესდგა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების საბოლოო სხდომა.

პირველი მოხსენება თემაზე „ჰიტლერული გერმანიის პასუხისმგებლობა აგრესიით გამოწვეული ბოროტმოქმედებისა და ზარალისათვის“ გააკეთა აკადემიკოსმა ი. პ. ტრაინინმა.

აკადემიკოსმა ე. ვ. ტარლემ თავის მოხსენებაში მოგვცა გერმანიის ისტორიის მოკლე მკაფიო ნარკვევი, რომელიც შუქსა ჰფენს მთელს მის დამპყრობლურ პოლიტიკას.

მოხსენება თემაზე „ჰიტლერული გერმანიის პასუხისმგებლობა აგრესიით გამოწვეული ბოროტმოქმედებისა და ზარალისათვის“ გააკეთეს აგრეთვე აკადემიკოსებმა ა. ნ. ტოლსტომ, ნ. ნ. ბორდენკომ და ბ. ე. ვედენეევმა.

მოსმენილ მოხსენებათა შესახებ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებამ განსაკუთრებული აღფრთოვანებით მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია:

— ფაშისტთა ბოროტმოქმედების საშინელებით შეძრწუნებულნი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერნი მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად გამოსთქვამენ რწმენას, რომ ჰიტლერული მთავრობა და მისი აგენტები—მკვლელობის, ძარცვისა და ნგრევის ორგანიზატორები მიიღებენ სასჯელს მათ მიერ ჩადენილ საშინელ დანაშაულობათათვის.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად საბჭოთა კავშირის მეცნიერნი მოითხოვენ გერმანელ ფაშისტ აგრესორთა მიერ მოყენებული ზარალის ანაზღაურებას. წითელი არმიის დიდებული გამარჯვებებით, ჩვენი დიდი სამამულო ომის კეთილშობილური მიზნით აღფრთოვანებულნი, საბჭოთა ხალხის დაუშრეტელი შემოქმედებითი ძლიერებისა და საბჭოთა კულტურის ცხოველმყოფელი ძალის ღრმა რწმენით გამსჭვალულნი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერნი ფიცით კისრულობენ ვალდებულებას იმუშაონ თავიანი ძალების დაუზოგავად მტერზე საბოლოო გამარჯვების დაჩქარებისათვის, ყოველივე იმის უსწრაფესად აღდგენისათვის, რაც მტრის ვერტრმა ურდოებმა დაანგრიეს და მოსპეს.

აკადემიის პრეზიდენტმა ვ. ლ. კომაროვმა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების დახურვისას განაცხადა, რომ მეცნიერებათა აკადემიის სესიამ, რომელიც სამამულო ომის გადამწყვეტ დღეებში მუშაობდა, მთელს მსოფლიოს უჩვენა, რომ საბჭოთა კავშირის მეცნიერნი მზად არიან მთელი თავიანთი ძალები მოახმარონ ჰიტლერიზმის განდგურებას, საბჭოთა ხალხის სრული გამარჯვების საქმეს.

საუკუნის ერთ მეოთხედზე მეტი ხნის განმავლობაში ლენინ-სტალინის პარტიას საბჭოთა მეცნიერნი მიჰყავდა ჭეშმარიტად მოწინავე მეცნიერების მწვერვალებისაკენ. ახლა, როდესაც არჩევნების შედეგად თვალსაჩინოდ შეიცვალა აკადემიკოსებისა და წევრ-კორესპონდენტების შემადგენლობა, მეცნიერებათა აკადემია შესძლებს უფრო მეტი ენერგიით წასწიოს წინ მეცნიერება, უფრო მეტი ძალითა და შემოქმედებითი ენერგიით იმუშაოს ფრონტისათვის, მტერზე გამარჯვებისათვის.

— ვხსნიდი რა სესიას,—ამბობს ვ. ლ. კომაროვი,—მე გამოვხატე ყველა შეკრებილთა საერთო განწყობილება და მისასალმებელი სიტყვებით მივმართე ჩვენს გმირ წითელ არმიას. ჩემს დასკვნითს სიტყვას იმითვე ვამთავრებ!

მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ჯანმრთელობას უსურვებს უმაღლეს მთავარსარდალს საბჭოთა კავშირის მარშალს ამხანაგ სტალინს. საერთო კრების მონაწილენი ერთიანი აღტაცებით დგებიან ფეხზე. დიდ ხანს არა სცხრება მძლავრი ოვაცია დიდი ბელადისა და მზედართმთავრის ამხანაგ სტალინის პატივსაცემად. (საკდესი).

სუვოროვის სასწავლებელი გახსნისათვის ემზადება

დაიწყო განცხადებათა მიღება კალინინის სუვოროვის სამხედრო სასწავლებელში. კომისიაში უკვე შემოვიდა 500-ზე მეტი განცხადება. პოდპოლკოვნიკი ბოლშაკოვი თხოულობს ჩარიცხონ სასწავლებელში მისი ნაწილის აღზრდილი 13 წლის ლევ ვოლჩკოვი, რომელიც დაჯილდოებულია მედლით „სამამულო დამსახურებისათვის“.

„შარშან სექტემბერში,—სწერს მიმღებ კომისიას გენერალ-მაიორი მიშჩენკო,—მე აღსაზრდელად ავიყვანე 11 წლის კოლია ფედოროვი. კოლიას თვალწინ გერმანელებმა დახოცეს მისი დედ-მამა. მას ნათესავები აღარ დარჩა. კოლია ჩემთან ერთად ომობს“. (საკდესი).

პარტიული ცხოვრება

ქუთაისის მშრომელები საფუძვლიანად სწავლობენ ამხანაგ სტალინის წიგნს

გამოვიდა თუ არა ამხანაგ სტალინის წიგნის მესამე გამოცემა, ქუთაისის მშრომელები, პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები დიდი ხალისით დაეწაფნენ ამ ისტორიული დოკუმენტის ღრმად შესწავლას. ქალაქის მშრომელთა დიდი ნაწილი დამოუკიდებლად სწავლობს ბელადის წიგნს, ხოლო იმ ამხანაგებისათვის, რომლებსაც არ შეუძლიათ დამოუკიდებლად მუშაობა წიგნზე, შექმნილია წრეები. ამჟამად ქალაქში გვაქვს 102 წრე, რომლებშიც გაერთიანებულია 3.000-მდე მსმენელი. წრის პროპაგანდისტებად შერჩეული არიან გამოცდილი ამხანაგები ხელმძღვანელი პარტიულ-სამეურნეო აქტივიდან.

ამხანაგ სტალინის წიგნის შემსწავლელთა დასახმარებლად ჩატარებულ იქნა მოხსენებები და ლექციები თემაზე: „როგორ უნდა შევისწავლოთ ამხანაგ სტალინის წიგნი“, აგრეთვე სემინარი პროპაგანდისტებისათვის—„საბჭოთა ხალხის ომი ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ სამართლიანი, სამამულო ომია“, და ლექციები—„გერმანიის ყაჩაღური იმპერიალიზმი“, „სსრ კავშირი ერთიანი საბრძოლო ბანაკია“, „გერმანელების დამარცხება სტალინგრადთან“. „წითელი არმიის ძალისა და ძლიერების წყაროები“, „თავისუფლებისმოყვარე ხალხთა საბრძოლო კავშირის შექმნა და განმტკიცება ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ“.

საომარი ვითარების ღრმად შესწავლის მიზნით, შემოღებულ იქნა კონსულტაცია გეოგრაფიის ცალკეულ საკითხებზე.

მიღწევებთან ერთად, წრეების მუშაობაში აღოილი აქვს ნაკლოვანებებსაც. ზოგან ადგილი ჰქონდა ფორმალურ და არასერიოზულ მიდგომას წრეების დაკომპლექტების საქმი. სადმი (საკონსერვო ქარხანა, მატდის ფაბრიკა, ლიტოპონის ქარხანა, საკონდიტრო ფაბრიკა და სხვ.), გარდა ამისა, წრეების ჩამოყალიბებას იქ, სადაც კომუნისტებს, კომკავშირელებს და უპარტიო აქტივს ამხანაგ სტალინის წიგნის შესწავლა შეეძლოთ დამოუკიდებლად. ასე, მაგალითად, ლიტოპონის ქარხანაში დაკომპლექტეს წრე, რომელშიც უმაღლესი განთლებით იყო 14 კაცი. მსგავს ფაქტებს ადგილი ჰქონდა სხვა ორგანიზაციებშიც, რაც დროულად იქნა გამოსწორებული.

ზოგიერთი საწარმოს პარტიულმა ორგანიზაციებმა მოაწყეს ამხანაგური გასაუბრება ამხანაგ სტალინის წიგნის ცალკეულ თემებზე (ვ. მ. ბაქრაძის სახელობის აბრეშუმის კომბინატი, სტალინის სახელობის რიონჰესი, კიროვის სახელობის სამკერვალო ფაბრიკა და სხვ.), რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია. ვ. ბაქრაძის სახელობის აბრეშუმის კომბინატში ჩამოყალიბდა პროპაგანდისტთა სემინარი (აქ არსებობს 8 წრე), რომელსაც ხელმძღვანელობას უწევს პარტიიოროს მდივანი ამხ. იოსელიანი.

ამას წინათ ჩატარებულ პროპაგანდისტთა სემინარზე გამოირკვა, რომ ზოგიერთი პროპაგანდისტი არასერიოზულად ეკიდება დაკისრებულ მოვალეობას, არ იყენებს თემების დამუშავებისას მითითებულ დამხმარე ლიტერატურას, არ ადგენს კონსპექტებს და სათანადოდ მომზადებული არ ცხადდება წრის მეცადინეობაზე. შემოწმებამ დაგვანახვა ისიც, რომ ზოგან მეცადინეობაზე მსმენელთა დასწრება არადამაკმაყოფილებელია (ლიტოპონის ქარხანა, საკონსერვო ქარხანა, რკინიგზის სადგური), ყველგან არ არის მოგვარებული წრეების სამეცადინო ბინებით უზრუნველყოფის, სამეცადინო დღეების დაწესებისა და წრეების მომარაგების საკითხი სათანადო თვალსაჩინო ხელსაწყოებით.

ქალაქის ბევრ ორგანიზაციაში სათანადო დახმარებას უწევენ დამოუკიდებლად მოსწავლეთა და წრეებში გაერთიანებულ ამხანაგებს. აბრეშუმის კომბინატის პარტორგანიზაციამ ამასწინათ მოაწყო წრის მსმენელთა კოლექტიური დასწრება კინოფილმზე „ის იცავს სამშობლოს“, რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე.

ქუთაისის მშრომელები ღრმად და საფუძვლიანად შეისწავლიან ეპოქის უდიდეს დოკუმენტს—ამხანაგ სტალინის ისტორიულ წიგნს „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“. ამ საქმეში მათ ყოველდღიურ დახმარებას უწევს და მომავალშიც გაუწევს ქალაქის პარტიული ორგანიზაცია.

ვ. ლალიაშვილი

საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე.

პოლიტიკური მოხსენება ყვიავაში

გორი („კომუნისტის“ საკ. კორ.). ხუთასზე მეტი მშრომელი დაესწრო პოლიტიკურ მოხსენებას, რომელიც 22 სექტემბერს ჩატარდა სოფელ ტყვიავში. კრება გახსნა ტყვიავის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ს. ბაკლიაშვილმა. მოხსენება თემაზე—საბჭოთა კავშირის საშინელი პოლიტიკური და საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ გააკეთა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ვ. ბუჯიაშვილმა. მომხსენებელმა მკაფიოდ გააშუქა ჩვენი სამშობლოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ყველა უმნიშვნელოვანესი საკითხი. დამთავრდა თუ არა მოხსენება, კრების მონაწილეებმა შეკითხვებით მიმართეს მომხსენებელს. კმაყოფილებით ისმენდნენ ისინი ზუსტ და ნათელ პასუხს.

პატრიოტული სიტყვით გამოვიდა ფრონტელის ცოლი მარგოლური ოლია ძამელაშვილი.

— სიამაყითა და უზომო სიხარულით გვავსებს ჩვენი ღვიძლი წითელი არმიის ბრწყინვალე გამარჯვებანი. ჩვენი ქმრების, ძმების და შვილების უდრეკ ნებისყოფას მოაქვს ეს გამარჯვება. ჩვენც მეომრული გარჯა და შრომა გვმართებს. პირობას ვიძლევი: წარმატებით შეგასრულო საშემოდგომო სამუშაოები და ჩემს რგოლს პირველობა მოვუპოვო მთელს კოლმეურნეობაში.

შესანშნავი იყო კოლმეურნეობის ფერმის გამგის მხცოვან დავით კორინთელის გამოსვლა. იგი ლაპარაკობდა იმის შესახებ, თუ რა ახალგაზრდული ენერგია შთაბერა მას წითელი არმიის ძლევამოსილმა წინსვლამ.

კრებამ კოლმეურნეთა პოლიტიკური აქტიურობის ნიშნად ჩაიარა. კოლმეურნეობამ იკისრა ვალდებულება წარმატებით ჩატაროს საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. ამხ. ვ. ბუჯიაშვილმა მოხსენება გააკეთა აგრეთვე სოფელ მეჯვრისხევში.

შ. ჩუბინიძე

საკ. აღკკ XXV წლისთავისათვის

ნორმებს ღიღი გაღიჭარბებით ასრულებენ

თბილისის № ქარხნის კომკავშირელები ახალი საწარმოო მიღწევებით ხვდებიან საკავშირო XXV წლისთავის სახელოვან იუბილეს. კომკავშირის XXV წლისთავის სახელობის შეჯიბრებაში ჩაბმის შემდეგ ქარხნის კომკავშირელ-მუშათა დიდი უმეტესობა 200-ზე მეტი პროცენტით ასრულებს ნორმებს. ცვლის დავალებას 300 პროცენტამდე ასრულებს ხარატთა ახალგაზრდული ბრიგადა, რომელსაც ამხ. მამონტოვი ხელმძღვანელობს. სამმაგი გადაჭარბებით ასრულებენ დღიურ დავალებებს ხარატი ა. ტროიანი, მღარავი ნ. ზაგაინოვი. დღეში 5-6 ნორმას ასრულებენ ზეინკლები კ. გიკაშვილი, ბ. ეზელნიცკი, ს. ოფარენკო.

სექტემბრის თხუთმეტი დღის განმავლობაში 2,5 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგია დაზოგეს კომკავშირელებმა და კავშირგარეშე ახალგაზრდობამ. სექტემბერში მათ შეაგროვეს 10 ტონაზე მეტი შავი ლითონის ჯართი. (საქდესი).

საქ. კ. პ. (ბ) ასპინძის რაიკომის მდივანი ამხ. ა. ზაზაძე მორიგ სემინარს ატარებს ამხანაგი სტალინის წიგნის „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“ შემსწავლელი წრეების ხელმძღვანელთათვის

ფოტო რ. აკოფოვისა

მეჯოგეთა საკვები ბაზა მეცხოველეობას

ასპინძა („კომუნისტის“ სპეც. კორ.). ასპინძის რაიონის პარტიულმა და არაპარტიულმა ბოლშევიკებმა ნაყოფიერი მუშაობა გაწიეს სახოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის. რაიონის 64 კოლმეურნეობიდან 33-ს აქვს ოთხ-ოთხი სახის ფერმა, 21 კოლმეურნეობას—ხუთ-ხუთი, 6 კოლმეურნეობას—ექვს-ექვსი, ხოლო 4 კოლმეურნეობას—სამ-სამი სახის ფერმა. რაიონში 102-160-მდე პროცენტით არის შესრულებული როგორც რქიანი საქონლის, ისე მეღორეობის, მეცხენეობისა და მეფრინველეობის ფერმების ზრდის 1943 წლის გეგმები. წარმატებით შესრულდა მეფუტკრეობის ფერმების დაკომპლექტების გეგმა. კერძოდ, მეძროხეობის ფერმებში სულადობის ზრდის გეგმა 120-ზე მეტი პროცენტით არის შესრულებული, ხარების სულადობის ზრდისა კი—105-მდე პროცენტით. რაიონში, სოფ. ასპინძის კოლმეურნეობაში, წელს პირველად გამოჰყვებეს 10 კოლოფი თესლიდან მიღებული აბრეშუმის ჭია და თითოეულ კოლოფზე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 35 კილოგრამისა, 43,8 კილოგრამი მაღალხარისხოვანი ბარკი მიიღეს.

კოლმეურნეობები საქონლის სულადობის ზრდასთან ერთად განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ჯიშთა შემდგომ გაუმჯობესებას. მსხვილფეხა რქიანი საქონლის ჯიშობრივი გაუმჯობესება ხდება ფერმებში ფართოდ გავრცელებული შვიცის, ჯიშის მწარმოებლით, ცხვრებისა კი—მერინოსის, პროკოსისა და რამბულიეს ჯიშებით. როგორც ფერმების წესიერად მოწყობის, და საქონლის სულადობისა და წველადობის ზრდის, ისე სახელმწიფოსათვის ხორცისა და რძის ნაწარმის სავალდებულო ჩაბარების გეგმების შესრულებაში თავი ისახელა სოფ. სარის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ, სადაც თავმჯდომარედ მუშაობს მედალოსანი ... ...

წითელი არმიის მეომრებო, სამშობლო ამაყობს თქვენი მამაცობითა და გმირობით!

მოიერიშე მფრინავი ო. ჩეჩელაშვილი

(„კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

როდესაც ახალგაზრდა მფრინავი, 20 წლის უმცროსი ლეიტენანტი ოთარ ჩეჩელაშვილი თავის მრისხანე მანქანა „ილიუშინ-2-ს“ მოსწყვეტს ყუბანის მიწას და შევარდენივით აიჭრება ცაში, სანამ მტრის განლაგებისაკენ გაემართებოდეს, ერთხელ მაინც გადახედავს იმ მხარეს, სადაც მდებარეობს მისი სამშობლო ქალაქი ქუთაისი, საყვარელი თბილისი, სადაც მან დაამთავრა საშუალო სკოლა და ოგბემ ჰაერში ფრენის პირველი სიტკბო.

ამხ. ჩეჩელაშვილმა 1940 წელს სასწავლებლისაგან მოუწყვეტლივ დაამთავრა თბილისის აეროკლუბი და შემდეგ შევიდა სამხედრო-საზღვაო საავიაციო სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა 1941 წლის დეკემბერში, ხოლო 1942 წლის 2 იანვარს იგი უკვე ფრონტზეა. 16 იანვარს ამხ. ჩეჩელაშვილს პირველი საბრძოლო გაფრენა ჰქონდა.

ჩეჩელაშვილი ენერგიით სავსე, ბრძოლის წყურვილით გატაცებული მოიერიშე მფრინავია. მის ანგარიშზე უკვე ითვლება მტრის მრავალი საცეცხლე წერტილი, ავტომანქანა, ტანკი და რამდენიმე ასეული ჯარისკაცი.

ამ რამდენიმე დღის წინათ ჩეჩელაშვილმა კიდევ გაზარდა თავისი საბრძოლო ანგარიში. მან გაიგო, რომ მზადდებოდა საბრძოლო გაფრენა მტრის ზურგში. იგი თავის მეგობარ კრასნოპეროვთან ერთად მაშინვე გამოცხადდა მეთაურთან და განუცხადა, რომ მას და მის მეგობარს სურთ გაფრენა მტრის ზურგში საბრძოლო დავალების შესასრულებლად. მეთაური დათანხმდა. რამდენიმე წუთის შემდეგ თვითმფრინავი ავიდა ჰაერში, მიაღწია საჭირო სიმაღლეს და საზღვრის ხაზი გადალახა. მალე ჩეჩელაშვილმა აღმოაჩინა მტრის მიმავალი ავტოკოლონა. მფრინავებმა სროლა აუტეხეს და 2 მანქანა დასწვეს. ამის შემდეგ ისინი გადავიდნენ მდინარის გალმა. ჩეჩელაშვილმა შეამჩნია მტრის თვითმავალი კარჭაპი, დაეშვა ძირს და პირდაპირ დააყარა ბომბები.

მფრინავები გამობრუნდნენ თუ არა, მათ თავს დაესხა 2 „მესერშმიტი“, მაგრამ თავდასხმა სწრაფად მოიგერიეს, ორივე სვავი დაზიანებული დაეშვა მიწაზე. მფრინავები უვნებლად დაბრუნდნენ და გზაში მთელი დარჩენილი ყუმბარების ტვირთი დააყარეს მტრის ბლინდაჟებსა და სანგრებს.

14 სექტემბერს მფრინავი მოიერიშე უმცროსი ლეიტენანტი ოთარ ჩეჩელაშვილი თავის მეთაურთან ერთად გაფრინდა მტრის ზურგში სანადოროდ. აქ მათ აღმოაჩინეს და დაბომბეს მტრის დატვირთული საზიდრები და უკან ბრუნდებოდნენ. მტრის თვითმფრინავებმა, დაინახეს თუ არა გაჩენილი ხანძარი, უკან დაედევნენ ჩვენს მონადირეებს და დაეწივნენ მოწინავე ხაზთან. მტრის სვავებმა ბრძოლა გუემართეს ჩვენს თვითმფრინავებს. დაიჭრა მეთაურის მსროლელი. ჩეჩელაშვილი გაეშურა მეთაურის დასახმარებლად და ზედზედ მიიტანა იერიში გერმანელ სვავზე. მან მარჯვე სროლით ცეტლი გაუჩინა „ფოკე-ვულფს“, მანქანა გადაბრუნდა და მიწას დაენარცხა.

როცა ჩვენი ქვეითები მივიდნენ, ნახეს დამსხვრეული მანქანა და მკვდარი გერმანელი მფრინავი. აღმოჩნდა მაიორი „ასი“, რომელსაც რამდენიმე რკინის ჯვარი ჰქონდა. ახალგაზრდა მამაცი მფრინავი კი გამარჯვებული დაბრუნდა თავის ნაწილში. ეს იყო მისი უკვე 92-ე საბრძოლო გაფრენა.

ოთარ ჩეჩელაშვილი, როგორც საუკეთესო მებრძოლი მფრინავი მიღებულ იქნა საკ. კ. პ. (ბ) რიგებში. სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისა და ამასთან მამაცობისა და გულადობის გამოჩენისათვის იგი დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავისა და წითელი დროშის ორდენებით.

კაპიტანი ვ. ესაიაშვილი
მოქმედი არმია

ორდენოსანი მაიორი გ. ი. ბარბაქაძე

ქართველი ხალხის სახელოვანი შვილი ორდენოსანი მაიორი გ. ი. ბარბაქაძე მამაცურად იბრძვის ლენინის ქალაქისათვის (წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტი). სამამულო ომის ფრონტზე მან თავი ისახელა საგმირო საქმეებით. უშიშარი, გულადი და უნარიანი მეომარი რისხვად ატყდება თავზე ჩვენი სამშობლოს ვერაგ მტრებს. მძლავრი ქვემეხებით, რომლებსაც ბარბაქაძე მეთაურობს, დიდი ზარალი მოუვიდა გერმანელ ოკუპანტებს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ. ამხ. ბარბაქაძე დაჯილდოებულია სამამულო ომის II ხარისხის ორდენით.

ფოტო ნ. იანოვისა (საკავშირო ფოტოქრონიკა).

მებრძოლი ვასო აბესაძე

დილიდანვე ისმოდა ტყვიების ზუზუნი, ცვიოდა შრაპნელის ნამსხვრევები. ახლოს სკდებოდნენ ნაღმები. კოჩნევი ხოხვით მიდიოდა.

— სულიკო!—შესძახა მან უეცრად ტრანშეის მოსახვევში. მის წინ იჯდა მზით შეწეული მოღიმარი ქართველი ვასო აბესაძე. მეგობრები ერთმანეთს მივარდნენ და გადეხვივნენ.

რათა გაეხარდა ასე რუს მებრძოლს კოჩნევს ქართველი მებრძოლის აბესაძის დანახვა. რათ დაუძახა სულიკო?

აბესაძე და კოჩნევი მზვერავები აღნან. მშობლიურმა ასეულმა და სამშობლოსათვის ბრძოლამ დააახლოვა ისინი. ლაშქრობაში განცდილმა ხიფათმა და სიხარულმა განაძტკიცა მათი მეგობრობა, გახადა ისინი განუყოფელ ძმებად.

ამას წინათ მათ მიიღეს დავალება გასულიყვნენ გერმანელთა ზურგში და ეშოვნათ იქ სარდლობისათვის საჭირო ცნობები. გვიან ღამით მეგობრები დაადგნენ გზას. მათ დაზვერეს მოწინააღმდეგის წინა კიდე, აღნიშნეს მისი საცეცხლე წერტილები ზურგში. აღმოაჩინეს ხანგრძლივი საცეცხლე წერტილი.

განთიადის წინ აბესაძემ და კოჩნევმა შეამჩნიეს, რომ ერთი წერტილიდან მეორისაკენ ღ-დი ტომრებით მიემართებოდა სამი გერმანელი.

— საინტერესო ტომრებია!—წაიჩურჩულა ვასო აბესაძემ,—უნდა ვიგდოთ ხელში.

მზვერავები გაწვნენ ბილიკზე, რომელზეც უნდა გაევლოთ გერმანელებს. როცა ისინი გაშორდნენ, აბესაძემ და კოჩნევმა სროლა აუტეხეს მათ და სამივე მოსპეს. ამის შემდეგ მზვერავები მივარდნენ ტომრებს და მათში ასობით წერილი აღმოაჩინეს.

— რადაც უნდა დაგვიჯდეს, ტომრები უნდა წავიღოთ,—სთქვა აბესაძემ.

გერმანელთა ფოსტა აიღეს და გამომართონენ, მაგრამ გერმანელები უკვე ამოძრავდნენ. ირგვლივ აბიჯანდნენ ტყვიამფრქვევები, მზვერავთა თავზე ზუზუნებდნენ ტყვიები. დაეცა კოჩნევი—ტყვია ფერდში მოხვდა.

მხოლოდ ერთი წუთით ჩაფიქრდა ვასო აბესაძე. მან უნდა წამოიღოს ფოსტა, მაგრამ დაჭრილი მეგობარიც უნდა გადაარჩინოს. ვასო აბესაძე მოიქცა როგორც წითელი არმიის ნამდვილი მებრძოლი — გადაწყვიტა საბრძოლო დავალების შესრულებაც და მეგობრის გადარჩენაც.

თენდებოდა. გერმანელები ხედავდნენ ყველაფერს, რაც ხდებოდა. მათ გრანატები დაყარეს მზვერავებს, ესროდნენ ავტომატებს.

მაგრამ აბესაძეს დაავიწყდა ხიფათი. მარჯვენა ხელით აიტაცა გრძნობადაკარგული კოჩნევი, მარცხენათი აიღო ორი დიდი ტომარა წერილებით და ასე ცეცხლის ნაღვარქვეშ წამოვიდა მამაცი, გამბედავი.

— შენ გმირი ხარ!—უთხრა მას მეთაურმა მოროზოვმა, როცა ვასომ ჩამოსვა დაჭრილი და მიწურის იატაკზე დაადო წერილებით სავსე ტომრები.

აბესაძემ შეისვენა, შემდეგ მძლავრ მხრებზე შეიგდო მეგობარი და სამედიცინო პუნქტისაკენ გაემართა. და რომ უფრო გაადვილებოდა სვლა, უფრო დაუფრჩებოდა კოჩნევს ტკივილები, აბესაძე წყნარად ღიღინებდა სიმღერას სულიკოზე...

... და აი ახლა მეგობრები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს მოწინავეზე.

— შენს მკერდს ორდენი ამშვენებს?—ჰკითხა კოჩნევმა.

— დიაღ. სამშობლომ დამაჯილდოვა შენი სიცოცხლის გადარჩენისათვის, — მოუგო აბესაძემ.

მიწის ზედაპირზე კვლავ ზუილით მიმოჰქროდნენ ტყვიები, შრაპნელის აფეთქებათა მელნისებური ლაქები აბნელებდნენ ზეცას, მზვერავები ერთ წუთს ჩაფიქრდნენ: კოჩნევს მოაგონდა რუსეთის სივრცეები, დედ-მამის სახლი. აბესაძე ამ წუთს ფიქრობდა საყვარელ სოფელ კვალითზე, ცოლ თამარზე, ბავშვებზე—ლიანასა და ნაზარზე. ორივე მებრძოლმა იგრძნო ამ დროს, თუ რა დიდი საქმისათვის იბრძვიან ისინი, რა ძვირფასია სამშობლოსათვის თითოეული მათგანის სიცოცხლე.

ს. სკლიარენკო
მოქმედი არმია

ეროვნული დნ ეროვნული

ქასულ გოგრაბაძე

И вражою злою кровью
Волю окропите.
ტ. შევჩენკო, „ანდერძი“

ტყეების შორის მოელვარე ვერცხლის ზოლივით,
ვით ოკეანე, უზარმაზარ ზვირთთა მრხეველი —
მოაპობ სივრცეს ტრამალებზე ვრცლად გაწოლილი,
მხნე და ამაყი, ყამთა დენით შეურყეველი.

გახსოვს: მგზნებარე ღამეები, როცა კაშკაშით
რგავდა ვარსკვლავებს შენს წიალში ცა ანთებული
და ყოველ დილით მზეს ხვდებოდი ტალღების ტაშით
მშობლიურ კალთებს ღრმა ალერსით ჩახუტებული.

ხან ნაპირებზე ველებს წყნარად ებაასები,
ხან, როგორც ლომი დაკოდილი, ღრიალებ მწარედ,
ბევრი ხომალდი შეახეთქე კლდეს გაბრაზებით
და ბევრიც აფრადალეწილი ფსკერს მიაბარე.

დაჭკრა ხაათმა, და ცამ რისხვით იწყო გრიალი,
შუქით მოსილი შენი შუბლი ნისლმა დაჰფარა,
უცებ ქვესკნელით ამოვარდა მძაფრი გრიგალი
და შვილთა სისხლით შეგიღებეს თეთრი ჭაღარა.

მაგრამ მტრების წინ ქედის მოხრას არ ხარ ჩვეული,
შენ იცი ქართან შეჯახება, ბრძოლის ხანძარი,
ახლაც ფოლადის მტკიცე კედლად გადაქცეული —
მტრის დასანთქმელად შენ ტალღების რაზმი დახძარი!

შენს დაძახილზე მოეფინენ ცას არწივები,
რომ ყვავ-ყორნები მტვრად აქციონ, ფრთებით დალაშქრონ.
მათ დროშას ბრძენი მთავარსარდლის ანთებს ხხივები,
რომლის ნათელიც მტერს ამარცხებს, უკუნეთს აქრობს.

და აი, გრგვინავს შენს კიდეზე რკინის ლაშქარი,
მშობელო დედავ, მიეგებე შვილებს სიმღერით,
აზვირთებული ტალღის შუბი ვეშაპს დაჭკარი
და შენს უფსკრულში სამუდამოდ დამარხე მტერი!

რომ, ამიერით, უძლეველი შენი კლდეკარი
ველურ ურდოებს თავს დაატყდეს სიკვდილის ზარად
და უკვდავებით შემოსილი შევჩენკოს ქნარი
თავისუფალი ხმით გიმღერდეს მარად და მარად!

ხარიტონ ვარდოშვილი

უძღეველი ქვეყანა

გატყდა მტერი მკვეხარა,
აწ იხარებს ველარა!
აქ ზეიმი ეწადა —
სიკვდილს გადაეყარა.

ნადგურდება, საზარი,
მხეცი — უზარმაზარი,
ვინაც ხალხი აწამა —
სისხლით მორწყო მთა-ბარი.

ისმის ძლევის ნალარა
ჩვენი ქვეყნის მთა-ბარად,
მტერმა დიდი სტალინის
დროშა ძირს ვერ დახარა.

ქვეყნის ჭირი და ვნება
უფსკრულს მიეკანება,
უდარაჯებს განწირულს
აღსასრულის ზმანება.

ჩვენს ხალხს, გმირს და გოლიათს,
მტერი ბევრი ჰყოლია,
მაგრამ დაუძლეველი
ცეცხლში გადუსროლია.

ბნელ დუშმანის ბანაკებს —
მუსრავს და აჩანაგებს,
ჩვენი გმირი არმია
და ომის ბედს განაგებს.

ბრძოლის რისხვით გუგუნებს,
მძლედ მიარღვევს უკუნეთს —
სოფლებსა და ქალაქებს
შუბელ დედას უბრუნებს.

გატყდა მტერი მკვეხარა,
აწ იხარებს ველარა,
გაიმარჯვებს სტალინის
უძლეველი ქვეყანა!

23 სექტემბერი.

ქართველი ხალხის სახელოვანი შვილები

სამამულო ომის ფრონტებზე ჩვენი დიადი ქვეყნის სხვა ხალხთა შვილების მხარდამხარ თავდადებულად იბრძვიან მზიური საქართველოს შვილებიც. თავიანთი გმირული ბრძოლით ისინი ასახელებენ თავიანთ სამშობლოს ყინულოვან ჩრდილოეთში, ბელორუსიის ტყეებში, უკრაინის ველებზე, ყუბანში.

მარიამ იაკობის-ასული გაბუნია (თბილისელი) საჰაეროდრომო მომსახურების ბატალიონის ლაზარეთის უფროსია. იგი საუკეთესოდ აკეთებს ოპერაციებს, სიყვარულით უვლის დაჭრილებს, რისთვისაც ჩვენი ჩრდილოეთის დამცველი მფრინავები მას დიდ პატივს სცემენ და უყვართ იგი.

ამხ. გაბუნია მამაცი და მტკიცე ნებისყოფის მქონე ქირურგია. საველე პირობებში, განუწყვეტელი დაბომბვის დროს მან 30-ზე მეტი რთული ოპერაცია გააკეთა. მან სიკვდილს გადაარჩინა მფრინავები კულაკოვი, ჩუგაშვილი და ზახარჩენკო, რომელთა მორჩენა აღარავის ეგონა.

დაჭრილ მფრინავთათვის საექიმო დახმარების დარგში სანიმუშო მუშაობისათვის მარიამ იაკობის-ასული გაბუნია დაჯილდოებულია წითელი დროშის ორდენით.

შალვა ივანეს-ძე ქიტაშვილი ბურჯაანის რაიონის სოფელ კაჭრეთიდან არის. სამამულო ომის პირველი დღიდან ფრონტზეა. ახლა იგი წითელი არმიის გამოცდილი და მამაცი ოფიცერი-არტილერისტია. სამხრეთის ფრონტზე ბრძოლებში დაიჭრა, მაგრამ განკურნებისთანავე დაბრუნდა ფრონტზე და კვლავ იბრძვის ჰიტლერელთა წინააღმდეგ. მისმა ბატარეამ ფრონტის ორიოლის უბანზე წარმოებულ უკანასკნელ ბრძოლებში მოსპო მტრის ექვსლულიანი ნაღმსატყორცნი, ააფეთქა საომარი მასალების საწყობი, ჩაახშო ორი ნაღმსატყორცნის და ერთი საარტილერიო ბატარეის ცეცხლი. როცა მტერი შეეცადა კონტრიერიშის მოტანას, ქიტაშვილმა თავისი ქვემეხების ცეცხლით მოსპო და გაჰფანტა მტრის ორ ასეულამდე ქვეითი ჯარი და ამით ჩაფუშა ჰიტლერელთა კონტრშემოტევა. ამხ. ქიტაშვილი დაჯილდოებულია სამამულო ომის მე-2 ხარისხის ორდენით.

ირაკლი ვლადიმერის-ძე ახვლედიანი დაიბადა 1919 წელს ქ. თბილისში. 1937 წელს დაამთავრა საშუალო სასწავლებელი და იმავე წელს შევიდა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში, რომელიც 1941 წელს დაამთავრა. 1940 წელს შევიდა ლენინური კომკავშირის რიგებში. 1941 წლის სექტემბერში იგი წავიდა სამამულო ომის ფრონტზე ექიმად. მას შემდეგ სულ მოწინავე პოზიციაზეა და ახლა უკვე პოლკის მედიკო-სანიტარულ ასეულს მეთაურობს. ამხ. ახვლედიანი დაჯილდოებულია მედლებით „საბრძოლო დამსახურებისათვის“ და „სტალინგრადის დაცვისათვის“.

ნ. ილოშვილი

სამედიცინო სამსახურის უფროსი სერჟანტი ბ. დადუნაშვილი

სამამულო ომის დაწყებისთანავე წითელარმიელი ბესარიონ სამსონის-ძე დადუნაშვილი მოხვდა სანიტარულ ასეულში. კურსებზე გადამზადების შემდეგ მას მიენიჭა სამედიცინო სამსახურის უფროსი სერჟანტის წოდება. ყუბანისათვის ბრძოლების დროს ამხ. დადუნაშვილი დაჯილდოებულ იქნა მედლით „ნამაცობისათვის“. ამ რამდენიმე ხნის წინათ გაფფრებულ ბრძოლებში ამხ. დადუნაშვილმა ორმოცამდე დაჭრილი გამოიყვანა ბრძოლის ველიდან, შეუხვია ჭრილობა და გადაგზავნა სანიტარულ ასეულში.

სარდლობის მიერ ამხ. დადუნაშვილი დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენით. წულუკიძის რაიონის კოლმეურნე ბესარიონ დადუნაშვილი პირნათლად იხდის თავის ვალს სამშობლოს წინაშე.

ლეიტენანტი ვ. ვ. ჩიქოვანი
მოქმედი არმია

წითელფლოგელი გ. ლ. ალექსაია

ამხ. გიორგი ალექსაია მეხუთე წელიწადია სამხედრო გემზე მსახურობს. ამ ხნის განმავლობაში იგი კარგად დაეუფლა გემის საბრძოლო ტექნიკას და მეტყვიამფრქვევესნაიპერის სახელი დაიმსახურა. ყოფილა ერავალი შემთხვევა, როდესაც ზღვაში საბრძოლო ოპერაციებისათვის გასულ გემს თავს დასხმიან ფაშისტ სვავთა ესკადრილიები. ალექსაიას მარჯვე ხელით ამოქმედებული საზენიტო ტყვიამფრქვევი ყოველთვის ცეცხლს კორიანტელით უმასპინძლებდა ჰიტლერელ სვავებს და ისინი იძულებული ხდებოდნენ კუდამოძუებულნი უკანვე გაბრუნებულყვნენ.

ამხ. გიორგი ლავრენტის-ძე ალექსაია დაიბადა სოფ. ქვიანში (ლანჩხუთის რაიონი) 1917 წელს. დაწყებითი სწავლა ადგილობრივ მიიღო, ხოლო შემდეგ გაემგზავრა ბათუმში სამუშაოდ. 1938 წლიდან სამხედრო-საზღვაო ფლოტშია. სამამულო ომის განმავლობაში მონაწილეობა მიიღო ამ სამხედრო გემის მიერ ჩატარებულ ყველა საბრძოლო ოპერაციებში. ამხ. ალექსაია 1941 წელს მიღებულ იქნა საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატად.

განთავისუფლებულ ნოვოროსიისკში. სურათზე: მებრძოლთა ჯგუფი მიდის გერმანელთა მიერ დანაღმული ქალაქის ერთ-ერთი ქუჩის ვიწრო ბილიკით.

ფოტო მ. ალპერტისა და ე. ხალდეისა (საკავშირო ფოტოქრონიკა).

მეგყვიამფრქვევე ცერცვაძე ნოვოროსიისკის ქუჩებში ბრძოლისას

(„კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

ნოვოროსიისკში ქუჩებში ბრძოლის დროს თავი ისახელა ახალგაზრდა ქართველმა რიგითმა მებრძოლმა მეტყვიამფრქვევე ცერცვაძემ. „ს

ოო და ვანკატის“ სახელობის ქუჩაზე ერთ-ერთი კუთხის შენობისათვის გაიმართა სისხლსმღვრელი ბრძოლა. მოიერიშეთა ჯგუფმა შეიტყო, რომ ამ შენობაში ჩასაფრებული იყო გერმანელ მეავტომატეთა დიდი ჯგუფი, რომელიც მიზნად ისახავდა ღამით უეცრად დაერტყა წინ წასული ჩვენი ქვეგანაყოფებისათვის. საბჭოთა მებრძოლების ჯგუფი შენობებისას მიეპარა შენობას და ალყა შემოარტყა. მეტყვიამფრქვევე ცერცვაძემ მიიღო დავალება მხარი დაეჭირა მოიერიშეებისათვის. ცერცვაძემ, სანამ ჯგუფი მოქმედებას შეუდგებოდა, ხოხვით შემოუარა შენობას. ამ შენობის დასავლეთ მხარეს აღმოაჩინა ღრმა თხრილი, რომელიც შენობას აერთებდა მეზობელ შენობასთან. ცერცვაძემ თავის საცეცხლე პოზიციად სწორედ ეს თხრილი აირჩია. მან ტყვიამფრქვევი მოქმედებისათვის მოამზადა, ხოლო თვითონ გვერდით მიუწვა.

არ გასულა რამდენიმე წუთი, რომ მებრძოლებმა ჩურჩულით ერთმანეთს გადასცეს მეთაურის ბრძანება შენობის ბლოკირების შესახებ. ჩვენებმა ფანჯრებში გრანატები შესტყორცნეს. შენობაში აურზაური შეიქნა, მაგრამ გერმანელები, ვინც კი ცოცხალი გადარჩა, წინააღმდეგობის გაუწევლად სანგარსასვლელთა საშუალებით გაემართნენ მეზობელ შენობაში, რათა აქედან უეცარი ცეცხლი დაეშინათ ჩვენი მებრძოლებისათვის. მაგრამ ამაოდ. როგორც კი გამოჩნდა 7-8 გერმანელი, ამ ღრმა, ყველასათვის საშიშ და შეუმჩნეველ თხრილში მაშინვე აკაკანდა საბჭოთა ტყვიამფრქვევი. ვერც ერთმა ჰიტლერელმა გაბედა ვერ მოასწრო, ისინი მოთიბულებივით დაეცნენ. სულ ერთი წუთი არ გასულა, რომ გამოჩნდა მეავტომატეთა მეორე ჯგუფი. ცერცვაძის ტყვიამფრქვევის მოკლე ჯერით კიდევ სამი ფაშისტი დაეცა მიწაზე, დანარჩენებმა სარდაფიდან თხრილებში გამოსვლა ვერ კაბედეს, იქვე შეჩერდნენ. ამ დროს მოიერიშეთა ჯგუფი შეეჯარა სარდაფში და გაიმართა ხელჩართული ბრძოლა. ჩვენი მებრძოლების თავდასხმით შეშინებულმა — ორმა გერმანელმა კიდევ სცადა სანგარსასვლელიდან თავის შველა. ცერცვაძემ მათ ტყვიამფრქვევი მიუშვირა და დამნებდითო—რუსულად შესძახა. ფაშისტებმა იარაღი დაჰყარეს და ხელები დაიჭიმეს ასწიეს. ცერცვაძემ ისინი ამ მდგომარეობაში ხუთ წუთამდე გააჩერა, ხოლო როცა შენობისათვის ბრძოლა დამთავრდა, ტყვეები მეთაურს გადასცა. მოიერიშეთა ჯგუფის მეთაურმა ცერცვაძე გონივრული და მამაცური მოქმედებისათვის მხურვალედ გადაკოცა და ქართველ ვაჟკაცს წარმატება მიულოცა.

უფროსი ლეიტენანტი ი. კეზერაშვილი
მოქმედი არმია

მზიური საქართველოს კომკავშირელ ქალებს

(ფრონტიდან)

მშობლიურ საქართველოში მყოფო ძვირფასო მეგობრებო, კომკავშირელო ქალებო! მოგესალმებით მოქმედი არმიის ერთ-ერთი ნაწილიდან და გადმოგცემთ მხურვალე მებრძოლურ სალამს.

იმ დროს, როდესაც ჩვენს საყვარელ სამშობლოს თავს დაესხა გამეხეცებული ვერაგი მტერი და გადმოლახა ჩვენი საზღვრები, საბჭოთა ხალხმა, ერთი გრძნობით გამსჭვალულმა, გაილაშქრა საზიზღარი ფაშისტების წინააღმდეგ. საქართველოს რაიონებიდან ბევრი კომკავშირელი ქალი მოხალისედ წავედით სამშობლოს დასაცავად მუშურ-გლეხურ წითელ არმიაში. ჩვენში იყო მხოლოდ ერთი გრძნობა—არ შეგვერცხვინა ქართველი კომკავშირელი ქალების სახელი. მოგვეხადა ჩვენი წმინდა მოვალეობა სამშობლოსა და კომკავშირის წინაშე.

ნაწილში გამოცხადებისთანავე დავიწყეთ მეცადინეობა, ფრიადზე ავითვისეთ სამხედრო დისციპლინები, დავეუფლეთ სამხედრო ტექნიკას და გავხდით მოწინავე მებრძოლები.

საბრძოლო დავალების შესრულებასთან ერთად არ გვავიწყდება ზურგში მყოფი მეგობრები და გადაეწყვიტეთ გადმოგვეცა თქვენთვის ჩვენი სურვილები. ძვირფასო მეგობრებო, მოგიწოდებთ გაამაგროთ ზურგი, საწარმოებში გარდაჭმნათ თქვენი მუშაობა სამხედრო ყაიდაზე და გადაჭარბებით შეასრულოთ გეგმები. სკოლებში მოსწავლე დებო, ისწავლეთ ფრიადზე, აითვისეთ სამხედრო საქმე. ჩვენ კი უკვე კომკავშირის რიგებიდან გადავედით პარტიის რიგებში და პირნათლად ვასრულებთ პარტიის ყოველგვარ დავალებებს. მოგიწოდებთ გახდეთ სამშობლოს თავდადებული პატრიოტები და თუ საჭირო იქნება თქვენც გვერდში ამოგვიდგეთ.

ძვირფასო დებო, ჩვენი თვალით ენახეთ, თუ რა სისასაზღვრე ჩაუდენიათ გერმანელ მხეცებს დროებით დაპყრობილ ტერიტორიაზე მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ. ვერ ნახავთ ისეთ ოჯახს, რომ საზიზღარი გერმანელების კვალი არ აჩნდეს. მრავალ დედას მოუკლეს შვილი, ცოლს—ქმარი დას — ძმა, მრავალ ახალგაზრდა ქალს გაუმწარეს სიცოცხლე. მეგობრებო, შური ვიძიოთ უდანაშაულოდ დაღუპული ძმებისათვის, დებისა და დედ-მამისათვის. წინ სამშობლოსათვის, სტალინისათვის.

ეფრეიტორი ეთერ გიორგის-ასული **ციყელაშვილი** (ხაშურის რაიონი), ეფრეიტორი თამარ კირილეს-ასული **მაჭავარიანი** (ზესტაფონის რაიონი, სოფ. დილიკოური), ეფრეიტორი ქეთო ნიკოლოზის-ასული **არბულიშვილი** (ხაშურის რაიონი, სოფ. ოსიაური), ეფრეიტორი თინა გიორგის-ასული **კობალაძე** (ხაშურის რაიონი, დაბა სურამი).

მოქმედი არმია.

სიმონ ჩიქოვანი

მამაცი მეომარი ს. ვასაძე

სევერიანე ვასაძის მხედრული ცხოვრება მთაში დაიწყო. ფაშისტთა ურდოები კავკასიონის კალთებს უახლოვდებოდნენ, ვასაძის ქვეგანაყოფიც მოსისლე მტერთან შესახვედრად ემზადებოდა. იგი კარგად იყო გაწვრთნილი და სარდლობას გადამწყვეტი იერიშისათვის ჰყავდა შერჩეული. სწორედ ამ დროს უღელტეხილზე დაჭრილების გადმოყვანა შეიქნა საჭირო. ამის შესრულება ვასაძის ქვეგანაყოფს დაეკალა. მეთაურის წინაშე აღიმართა ულრანი ტყეებით შემოსილი მთები, ყინულოვანი წყვერვალები და თოვლით დაფარული უღელტეხილები. საცალფეხო გზა თოკივით იყო გადმოკიდებული მთაზე, მგზავრის ბედიც ამ თოკით ეკიდა ციცაბო კლდეებზე და უფსკრულებზე. ვასაძემ გამოჰყო მებრძოლები და თვითონ აიყვანა ისინი უღელტეხილზე. მთაში ზამთარი მძვინვარებდა და ქარიშხალი ბილიკებს შლიდა, საცალფეხო გზა უჩინარდებოდა, თოვლში და ყინულზე ფეხი უსხლტებოდათ მებრძოლებს. თოკები მომარჯვებულ შეეჩეველმა მგზავრებმა. თოკით გადაბმული მებრძოლები გაჭირვებით ჩამოდიოდნენ დასხლტილ ფერდობზე, ფრთხილად ჩამოჰყავდათ ჯალამბრებზე დაწვენილი დაჭრილები. მეთაური გზას უკაფავდა მებრძოლებს, თამამად ებრძოდა გაუვალ თავდადებრთს და თოვლში ჩაკარგულ ბილიკებს პოულობდა მონადირის ბეგმით. რვაჯერ შეიქნა საჭირო უღელტეხილზე ასვლა და ჩამობრუნება, რვაჯერვე ავიდა დაბელვნებული მეთაური თავისი რაზმით და ოცდახუთი დაჭრილი უხიფათოდ გადმოიყვანა მოლიპულ მთაზე. მისი ჯანიანი სხეული ქედე უფრო გამოიბრძმედა და მისი მებრძოლებიც დახელოვნდნენ მთებზე სიარულში.

ვასაძე მაინც კმაყოფილი არ იყო, გულადი მეთაური ნატრობდა ბრძოლაში გამოცდილ თავი და თავისი მებრძოლები იერიშზე მიმავალი ენახა. სურვილიც მალე აუსრულდა. საზიზღარმა მტერმა უღელტეხილამდე ვერ მოაღწია. ბრძოლა მთების გადაღმა გაგრძელდა. ვასაძის ქვეგანაყოფმაც გადაიარა მთები, უღელტეხილები და ყუბანში ბრძოლის ველს მიუახლოვდა. მთები უკან დარჩა, ბორცვებიანი დიდი მინდვრები გადაიშალა თვალწინ და ბრძოლის ცეცხლი გაძლიერდა. ქვეგანაყოფი შეტევისათვის განემზადა, მთელი შემადგენლობა მიისწრაფოდა მოსისლე მტრის გასანადგურებლად. ქვეგანაყოფი ყოფილი კოლმეურნეებისაგან შესდგებოდა. ისინი გაურკვეველ გავლენას ახდენდნენ ვასაძის შინაგან ბუნებაზე. იგი ფიქრობდა: „სირცხვილია, ამათ წინაშე თავი არ გამოვიჩინო. ერთი-ორი წლით, მაგრამ მაინც ჩემზე უფროსები არიანო“. თვითონ ვასაძე უმცროს ძმასავით გამოირჩეოდა თავის ნაწილში. ქვეგანაყოფის მეთაური ალექსანდრე ბოიკო ძლიერ შეეთვისა ვასაძეს. ისინი ტოლები იყვნენ და მხედრული ცხოვრებით შეეზარდნენ ერთმანეთს.

ზაფხული ახლოვდებოდა, ლიმანებით და ჭაობებით დასერილ ტრამალებზე ყინული გალღვა და ბრძოლის წარმოება გაძნელდა. ბატარა გოროკებით და ბუჩქნარებით მორთული მიდამო ცეცხლის ალში გაეხვია. შეტევა დაიწყო. ვასაძე მოწინავე რაზმს მიუძღოდა. რამდენიმე ქვეგანაყოფი უტევდა ფაშისტთა პოზიციას. ვასაძეს უნდოდა პირველად მის რაზმს მიეღწია მტრის განლაგებამდე. მტერი რაზმს მიეღწია მტრის განლაგებამდე. მტერი ბორცვებზე იდგა, წინ მინდორი იყო გადასარბენი და დასაძლევი. მთელი ვაკე ხელისგულივით მოსსანდა მტრის სიმაგრიდან. მტერმა მინდორი ცეცხლით გადაღობა, და სანამდე შეტევა დაიწყებოდა, ნაღმები და ყუმბარები დააყარა სეტყვასავით. ყოველ ხუთ ნაბიჯზე სკდებოდა ნაღმი. ასეთ ცეცხლში პირბიჯზე ეკიდებოდა ნაღმი. ასეთ ცეცხლში პირველად მოხვდა ვასაძე. იგი არ შემდრკალა, მაგრამ ეფიქრებოდა სხვა ქვეგანაყოფს არ მიესწრო მტრის განლაგებამდე. წუთის დაგვიანებაც კარგა არ შეიძლებოდა, ჩქარობდა მეთაური. ასეთ დაძაბულ წუთებში ცნობა მოსწორედ ასეთ ალღო შემჭნილ მდგომარეობას და ნაწილის ხელმძღვანელობა იკისრა. ეს ყოველივე ელვის სისწრაფით მოხდა. მან დაძაბული ხმით დაიძახა: „წინ, მამულისათვის, სტალინისათვის“, და მებრძოლები გაიყოლია ტალღასავით. მებრძოლები გაჰყვნენ მეთაურის ხმას და მინდორში ახალ მოჯიჯნაზე მიიჭრნენ. მტრის ავტომატები, ქვემეხები და ნაღმები სამი მხრივ ცხრილავდა მინდორს და წინ წასვლა შეუძლებელი ხდებოდა. ვასაძემ დაუცადა მეზობელი ქვეგანაყოფის იერიშს. როდესაც მოიერიშე მეზობლებმა მტრის მარჯვენა და მარცხენა ფრთის საცეცხლურები მოსპეს, მან გამოჰყო რამდენიმე კაცი და მტრის მოპირდაპირე ბანაკს შეუტია. მეთაურის პირდაპირ რამდენიმე ძელმიწური იყო. ვასაძემ მათი აღება გადასწყვიტა.

ფრთხილად წავიდა იერიშზე. მას გაჰყვნენ გულითადი მეგობრები — სერჟანტი ნიკოლოზ რიშკო, მებრძოლები დანელია, დვალი და მეტრეველი. ორი ძელმიწური დანელიამ და დვალმა გაათავისუფლეს. ვასაძემ უკან, ძელმიწურისაკენ გასწია, ჩახტა შიგნით და ჰიტლერელი მეავტომატე ელვის სისწრაფით მოჰკლა. რიშკო და ვასაძე ამ ძელმიწურში მოთავსდნენ და აქედან ცეცხლი მიაწვიმეს მტერს. ეს ძელმიწური ჩვენი განლაგების ძლიერ მოწინავე ხაზის საც

დღეფენები

წითელი არმიის შეჯვეა მწვავე შეშფოთებას ჰქმნის რუმინეთში

სტოკჰოლმი, 2 ოქტომბერი (საკდესი). შვედური გაზეთი „სტოკჰოლმს ტიდნინგენი“ იმოწმებს შვეიცარიის გაზეთ „ბაზლერ ნახრიხტენს“ და იუწყება, რომ რუსთა არმაების შეტევით გამოწვეული შეშფოთება რუმინეთში დღითიდღე ძლიერდება. უკანასკნელ ხანს მოხდა სამხედრო ხელისუფალთა რამდენიმე საგანგებო თათბირი. დაჰპატიმრეს ბევრი ხალხი, რასაც უკავშირებენ იმას, რომ პოლიციამ მიაგნო ფართო ორგანიზაციის კვალს, რომლის მიზანიც არის ანტონესკუს მთავრობის ჩამოგდება.

მექსიკაში შეიქმნა ახალგაზრდობის ორგანიზაცია ომში სსრ კავშირის დასახმარებლად

მექსიკო, 2 ოქტომბერი (საკდესი). ახალგაზრდობის ორგანიზაციის ხელმძღვანელთა საბჭომ, რომელიც მოწვეულია „მექსიკელი ახალგაზრდობის კონფერენციის მიერ“, მიიღო გადაწყვეტილება შეჰქმნას „რუსეთის დამხმარე ახალგაზრდათა კომიტეტი სტალინგრადის აღსადგენად“. ამ კომიტეტს დაეკისრება ამოცანა მექსიკის ახალგაზრდობაში ჩაატაროს ომში საბჭოთა კავშირის დახმარების ფართო კამპანია.

საომარი მოქმედება იტალიაში

ლონდონი, 2 ოქტომბერი (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ მოკავშირეთა ჯარებმა დაიკავეს ნეაპოლი.

გუშინ ამერიკის მე-5 არმია წარმატებით განაგრძობდა წინსვლას ნეაპოლის აღმოსავლეთით, მე-8 არმიის ნაწილებმა დაიკავეს სან-სევერო და ლუჩერა (ფოჯის ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით) და წინ წაიწიეს ამ ქალაქების ჩრდილო-დასავლეთით.

ქალაქი სან-სევერო მდებარეობს იმ გზების შესაყარზე, რომლებიც ლუჩერიდან სამხრეთით მიდიან და ტერმოლას აერთებენ ფოჯიდან სანაპიროსაკენ მიმავალ გზასთან.

ბრძოლები კორსიკაზე

ლონდონი, 2 ოქტომბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი კორსიკის კუნძულიდან იუწყება, რომ გაფთრებული ბრძოლების შედეგად მოკავშირეთა ჯარებმა უკუაგდეს გერმანელთა არიერგარდები მაღლობებიდან და გორაკებიდან, რომლებიც ჯერ კიდევ მათს ხელში იყო და რომლებიც ბასტიის მისადგომებს იცავენ. მოკავშირეები ამჟამად წინ მიიწევენ გერმანელთა უკანასკნელი პოზიციებისაკენ კორსიკაზე ოთხიდან ხუთი ათასამდე გერმანელი ჯარისკაცი მომწყვდეულია ვიწრო ადგილას ბასტიის ჩრდილოეთით. გერმანელებმა რომ თავს უშველონ ქვეშიანი ადგილებით კუნძულის უკიდეგანეს ჩრდილოეთ სანაპიროზე, მათ უკან უნდა დაიხიონ ბასტიის ჩრდილოეთით სანაპიროს გასწვრივ, რომელსაც განუწყვეტლივ უშენენ ჰაერიდან და რომელიც ბლოკირებულია ზღვიდან.

მოკავშირეთა ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 2 ოქტომბერი (საკდესი). ინგლისის ავიაციის სამინისტრო იუწყება, რომ 1 ოქტომბერს ღამით ინგლისის ბომბდამშენი ავიაციის თვითმფრინავებმა სასტიკი თავდასხმა მოახდინეს სამრეწველო ცენტრ ჰაგენზე რურის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. წინასწარი ცნობებით, დაბომბვა უაღრესად კონცენტრირებული იყო.

ანგლიელ-ამერიკელი დივერსიელები დანიაში

სტოკჰოლმი, 2 ოქტომბერი (საკდესი). დანიაში არა სწყდება დივერსიული აქტები იმ საწარმოებში, რომლებსაც გერმანელები იყენებენ. როგორც შვეციის დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს, 29 სექტემბერს ანდერსონის ფეხსაცმლის ფაბრიკაში კოპენჰაგენში ძლიერი აფეთქება მოხდა. ფაბრიკის შენობა დაიწვა.

ჰორსენს-ფრედერიციის რკინიგზის ხაზზე 15 დივერსიული აქტი მოხდა. დანიელმა პატრიოტებმა მოსპეს 16 სამხედრო მანქანა ვალბიუს მახლობლად (კოპენჰაგენის გარეუბანი).

საბჭოთა კავშირში

კომკავშირის 25 წლისთავის აღსანიშნავად

20-22 ოქტომბერს მოსკოვში შესდგება სახელმწო, რკინიგზის სასწავლებლებისა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების სრულიად-საკავშირო ჩვენება კომკავშირის 25 წლისთავის აღსანიშნავად.

საკ. ალკა ც.კ-მა და შრომის რეზერვების მთავარმა სამმართველომ უკვე ბევრ ოლქსა, ქალაქსა და რესპუბლიკაში ჩაატარეს მონაწილეთა შესარჩევი დათვალიერება.

მხატვრული თვითმოქმედების ჩვენებაში მონაწილეობის მისაღებად ხაბაროვსკის მხარიდან, საქართველოდან, აზერბაიჯანიდან და სხვა რესპუბლიკებიდან უკვე გაემგზავნენ მოსკოვს ახალგაზრდა შემსრულებელთა ბრიგადები.

მხატვრული თვითმოქმედების ჩვენებას ხელმძღვანელობას გაუწევენ სსრ კავშირის დიდი თეატრის, მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრის კოლექტივები, სსრ კავშირის სახალხო არტისტები ვ. ი. კაჩალოვი, მ. მ. ტარხანოვი და სხვები. (საკდესი).

განთავისუფლებულ ხარკოვში

ერთი თვის წინათ საბჭოთა ჯარებმა სიცოცხლეს დაუბრუნეს უკრაინის მეორე დედაქალაქი.

ხარკოველები გამსჭვალული არიან ოვიანთი მშობლიური ქალაქის აღდგენის ნამდვილი პათოსით. აღდგენილია გერმანელების მიერ აფეთქებული ხიდები, მოსამზადებელი მუშაობა მიმდინარეობს ტრამვაის ასამუშავებლად. მწყობრში ჩადგა ხორცკომბინატის რამდენიმე საამქრო, მუშაობენ პურის ქარხანა, სასადილოები, პურის, ბოსტნეულის მაღაზიები. აღდგენილია და მოსახლეობას მომსახურებას უწევს 17 საავადმყოფო, 25 ამბულატორია, 8 საბავშვო ბაღი.

ხარკოვის უნივერსიტეტმა რეგისტრაციაში გაატარა 200 სტუდენტი, რომელთაც სურთ განაახლონ ოკუპაციით შეწყვეტილი სწავლა, უნივერსიტეტი აგრეთვე აწარმოებს ახალ მაღებას. მუშაობა ახლდება სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტებში. მეცადინეობა დაიწყო ორ სახელოსნო სასწავლებელსა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლაში. 1-ლ ოქტომბერს მეცადინეობა დაიწყება კიდევ 10 სასწავლებელსა და 5 საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლაში.

მიმდინარეობს სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა. რეგულარულად დადის მოსკოვ-ხარკოვის სამგზავრო მატარებელი.

ოქტომბრის დღესასწაულისათვის დამთავრდება დიდძალი აკაციის, წაბლების, ცაცხვების, ხეხილის რგვა ქალაქის ქუჩებში, სანაპიროებსა და ბაღებში. (საკდესი).

„საბჭოთა ადამიანები გერმანიის კატორღაში“

წიგნში „საბჭოთა ადამიანები გერმანიის კატორღაში“, რომელიც გამოცემულია პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობის მიერ, შეგროვებულია ფაშისტურ გერმანიაში საკატორღო სამუშაოზე გერმანელთა მიერ ძალით გარეკილი ადამიანების წერილები და იმათი ნაამბობი, ვინც მოახერხა გერმანიის კატორღიდან გამოქცევა. ეს დოკუმენტები, რომლებიც გესტაპოს და ფაშისტური ცენზურის ორმაგ კორდონს გამოეპარნენ, მოწმობენ იმ სასტიკ ტანჯვასა და წამებას, რასაც ჩვენი ადამიანები ტყვეობაში განიცდიან.

ამ კრებულის ყოველი სიტყვა ისე გაისმის, როგორც ფაშიზმისათვის მრისხანე საბრალდებო აქტი, როგორც მოწოდება სასტიკი შურისგებისაკენ საბჭოთა ადამიანების დასახიჩრებული და დაღუპული სიცოცხლისათვის. (საკდესი).

კურსკში ამუშავდა ტრამვაი

კურსკში აღდგენილია და ამუშავდა პირველი რიგის ტრამვაი. კურსკელმა ტრამვაელებმა ბევრი იშრომეს ფაშისტების მიერ დანგრეული სავაგონო პარკის, საპაერო ქსელის, მეურნეობის წევრი სონა ცხვედიანი, რომელიც ბრიგადირიც არის და პარტორგანიზაციის მდივანიც. ესენი ტიპიურნი არიან დღევანდელი საკოლმეურნეო სოფლისათვის.

ეს კოლმეურნეობები სამამულო ომის ინტერესებით ცხოვრობენ ფრონტთან უშუალო კავშირი აქვთ დამყარებული. ამ კავშირს მხოლოდ თბილი და იმედით სავსე ბარათების ურთიერთ გზავნით როდი ანხორციელებენ: მატერიალური დახმარებით იძლევიან ამ. სამხედრო ფონდში შეაქვთ სიმინდი, პური, ღვინო. ფაშისტ არამზადებისაგან განთავისუფლებული რაიონების დახმარების მიზნით ცალკე ფართობები აქვთ გამოყოფილი და დათესილი.

ამ ყურადღების და უწყვეტი კავშირის, დედაშვილური სიყვარულის გამომატყველია თუნდაც ის ამანათები, სისტემატურად რომ ეგზავნებათ აქედან მებრძოლებს: ჩირი, თბილი ტანსაცმელი, ხილი, ჩურჩხელა, არაყი—განუწყვეტლად მიდის ფრონტისაკენ.

ყურადღების ცენტრში ჰყავთ აქ აგრეთვე დაყენებული წითელარმიელთა ოჯახები.

— რა გულით იბრძოლებენ ჩვენნი მოძმენი ფრონტზე, თუ ისინი დაიმედებული არ იქნებიან, რომ მათს ოჯახებს აქ არაფერი უჭირს?—აცხადებენ ვლადიმერი და ექვთიმე—ამიტომ ჩვენ ყოველგვარ ღონისძიებას ვღებულობთ, რომ მათ დავეხმაროთ. დღეღამეს ასწორებენ და ეხმარებიან კიდევ მოხუცებს, ავადმყოფებს—საკარმიდამო ნაკვეთის დახვნასა და დათესვაში, ვენახების გაჩხვლა-მოვლაში. ზარმაცი, უქნარა ამ კოლმეურნეობებმა არ იციან...

— წითელარმიელთა ოჯახებს არაფერს გავუჭირვებთ და არც უჭირთ—ამბობენ მეგობრები.—ზოგი მათგანი ახლა მეტს ღებულობს, ვიდრე წინათ, ომამდე ღებულობდა, ესაა, რომ ახლობლების მოშორება ძნელია, თორემ ნიეთიერად, ცოცხალიც ნუღარ ვიქნებით, ვინმეს რამე დავაკლოთ.

ნათქვამს ციფრებით მიდასტურებენ:

— წელს ჩვენი კოლმეურნეები შრომადღეზე მიიღებენ 8-10 კილოგრამ სიმინდს, 1-2 კილოგრამ ხორბალს, ფულად 10 მანეთს, ღვინოს და სხვ. საშუალოდ კი თითოს 250 შრომადღე მაინც აქვს გამომუშავებული,—აცხადებენ ისინი.

თუ მოსაზღვრე ზოგ კოლმეურნეობას წელს სიმინდი და პური დააკლდა, მახაშისა და ლესინდის კოლმეურნეობებს ბეღლებში ახლაც შემონახული აქვთ ძველი დოვლათი. მათმა წევრებმა არ იციან სიმინდის ნაკლებობა. ამ შემონახული მარაგის საკითხი ექვთიმესათვის ხუმრობის ობიექტიც კი გახდა.

— ვლადიმერამ გითხრა, შარშანდელი მარაგი მაქვსო?—ღიმილით მეკითხება ექვთიმე და სერიოზული გამომეტყველებით განაგრძობს:—მესმის, ამ დილით ალიონზე ვიღაც მეძახის. გავიხედე, ვლადიმერაა. ვეკითხები: რა გინდა, ბიჭო, ამ უთენია აქ?—სტუმრები მომივიდნენ, პური დამაკლდა და, თუ ძმა ხარ, ცოტა მასესხეო.—სთქვა და მადიანად ჩაიცინა.

ასე აჯავრებენ ეს მეგობრები ერთმანეთს, დარწმუნებულნი იმაში, რომ ამით მეტ წახალისებას და სიცოცხლეს შეიტანენ აქმიანობაში.

— რით აიხსნება, თქვენის აზრით, რომ ეს კოლმეურნეობები მყარ საფუძველზე დგანან?—ვეკითხები მათ. ისინი კი სდუმან. არ ეხერხებათ თავიანთ თავზე ლაპარაკი. მათ ხშირად ეხმარება საქ. კ. პ. (ბ) ცაგერის რაიკომის ინსტრუქტორი სამსონ კოპალიანი, რომელიც მართებულად ახასიათებს მათს მუშაობას:

— იმით, რომ ეს ამხანაგები კონკრეტულად, ყოველდღიურად ხელმძღვანელობენ კოლმეურნეობას. სამუშაოს წესიერად ანაწილებენ, გული შესტკივათ, დაუზარებლად შრომობენ კოლმეურნეებთან ერთად, მტკიცე ბოლშევიკური დისციპლინა აქვთ დამყარებული. ამიტომ კოლმეურნეებსაც უყვართ, პატივს სცემენ.

მართლაც მოუსვენარი ხალხია ექვთიმე და ვლადიმერი. მათი გაჩერება არ იქნება. აქ კალოს ხელმძღვანელობენ, იქ სათიბში წამამავალ ბრიგადებს აწყობენ, ამ წუთში რომ ერთ ბრიგადას აძლევენ მითითებას, მეორე წუთში მეორე ბრიგადის წევრებს შორის დგანან და ეხმარებიან, ეაცხანობენ, ერთი სიტყვით, კოლმეურნეობის ინტერესით ცხოვრობენ, მის მაჯისცემას სიცოცხლეს მატებენ.

ორივეს ერთი რამე აწუხებთ მხოლოდ:

— ჩვენი მეზობლები და მოკეთენი ფრონტზე იბრძვიან, ჩვენ კი აქ ვართ, — მეუბნებიან ისინი. — ვითხოვეთ, განცხადება შევიტანეთ ფრონტზე გაგზავნის შესახებ, მაგრამ გვითხრეს—თქვენ აქა ხართ საჭიროო. ჩვენც აქედან ვეხმარებით, რითაც შეგვიძლია.

და ეხმარებიან კიდევაც. სიამაყითა და სასოებით იგონებენ თავიანთ ძმებს, მებრძოლთა რიგებში რომ დგანან. ვლადიმერს ფრონტზე ერთი ძმა ჰყავს, ექვთიმეს კი სამი. ერთი რომანოზი—არტილერისტია, გრიგოლი კავალერისტი, სეითო—ტანკისტი.

ორივე ამხანაგი სიამაყის გრძნობით იგონებს ომამდელ ხანას, როცა კოლმეურნეები განაახლებენი სოფლის ფერხულში იყენენ ჩაბმულნი, კეთილ ცხოვრებას მშვიდობიანი შრომა ახალისებდა. უყურებენ კედელზე მიკრულს მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მიღებულ ქების სიგელებს და ერთგვარი სევდანარევი ხმით მეუბნებიან:

— ეხ, რა დრო იყო, რა ცხოვრება! ჩვენი მოსკოვი, დედაქალაქი! რა არ ვნახეთ! სიზმარში გვეგონა თავი. რა გვიყვეს ამ არამზადებმა. როგორ დაგვირღვიეს, აგვიწდაგვიწეწეს ასე სანაქებოდ, ზღაპარივით ლამაზი ცხოვრება. ერთადერთი რაზედაც ახლა ჩვენ ვოცნებობთ,—ეს არის მტერზე გამარჯვება. ამ იმედით ვცხოვრობთ.

— ამასაც მოვესწრები, — განაგრძობს ექვთიმე. ახლა მის თვალებს მეტი სიცხოველე ეტყობა.—მოვესწრები მტრის განადგურებას. ჩვენს სოფელს წყალი შორს აქვს. ყველაფერი მზად გვქონდა, მინდოდა ციცი, საამო წყალი სოფლის შუაგულში გამომეყვანა. ომმა შემიშალა ხელი. და რაზე არ შეგვიშალეს ხელი იმ ქვეწარმავლებმა. მაგრამ უკვე დადგა შურისძიების დრო. ამ იმედით ვსუნთქავ.

ჩემო კარგო მეგობრებო! შურისძიების საათმა უკვე დაჰკრა! ჩვენი სახელოვანი არმია, მისი ძლევამოსილი, შეუჩერებელი შეტევა საოცარი სისწრაფით გვიახლოვებს საბოლოო გამარჯვების საათს. თქვენს მოლოდინს მალე ფრთა შეესხმება!—მინდა შევძახო მათ, ამ ორ ამხანაგს. ორ გულწრფელ პატრიოტს, ორ ჩუმ პატიოსან მუშაკს.

ახალციხის რაიონის სოფ. ურავლის 26 კომუნარის სახელობის კოლმეურნეობის წევრი გიულა ხანუმ შარიფ კზი ვაშლის კრეფაზე. ფოტო რ. აკოფოვისა.

სექტემბრის საწარმოო გეგმების შესრულება

თბილისის ქიმკომბინატის კოლექტივმა (დირექტორი ამხ. გ. ბერაძე, პარტიბიუროს მდივანი ამხ. ვ. ვაშაკიძე) სექტემბრის საწარმოო გეგმა 120 პროცენტით შეასრულა. კომბინატის კოლექტივი კარგი მუშაობისათვის ზედიზედ ინარჩუნებს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სამთო სამმართველოს გარდამავალ წითელ დროშას.

თბილისის მაუდ-კამოლის ფაბრიკის კოლექტივმა (დირექტორი ამხ. შ. სვიმონიშვილი, პარტბიუროს მდივანი ამხ. ნ. ლისეკო.) სექტემბრის საწარმოო გეგმა 115 პროცენტით შეასრულა.

თბილისის პირველი სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივმა (დირექტორი გ. გაბუნია, პარტბიუროს მდივანი ე. აფაქიძე) სექტემბრის საწარმოო გეგმა ვადაზე ადრე—29 სექტემბრისათვის შეასრულა 111 პროცენტით.

„გლავნეფტეტესნაბის“ ბათუმის ბაზის კოლექტივმა ვადაზე ექვსი დღით ადრე შეასრულა სექტემბრის საწარმოო პროგრამა. სექტემბერში მუშაობით თავი ისახელა იმ საამქრომ, სადაც უფროსად არის ამხ. ყაჩეიშვილი.

საპონი ჩაის თესლისა და ჯუნგოსაგან

სოხუმი, 30 სექტემბერი (საქდესი). სოხუმის ქალაქის სამრეწველო კომბინატმა მოაწყო ზეთისახდელი წარმოება ჩაის თესლისა და ტუნგოს ნაყოფის ნარჩენისაგან საპნის სახარშად. უკვე გადამუშავებულია პირველი ათეული ტონა შარშანდელი ჩაის თესლი და ტუნგო. დაიწყეს სარეცხი და ხელის საპნის კეთება.

ჩაის თესლის ზეთისაგან ხელის საპნის გამოშვება აითვისა აგრეთვე მესამე ხუთწლედის სახელობის სამრეწველო არტელმა. პირველი პროდუქცია სავსებით კარგი ხარისხისა გამოდგა.

„ტყვე ჰიტლერელი მოჰყავთ“

ნახატი მხატვარ გ. ჩირინაშვილისა

საბჭოთა საქართველოდან

ასპინძის საკოლმეურნეო ხეხილის ბაღებში

ასპინძა („კომუნისტის“ საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობები დიდი მონდომებით მუშაობენ ხეხილის ბაღების შემდგომი გაფართოებისა და მოსავლიანობის გადიდებისათვის. ასპინძის რაიონში ყოველწლიურად ირგვება 10 ჰექტარზე მეტი ხეხილი, სულ კი ხეხილის ბაღების ფართობი 200-მდე ჰექტარს აღწევს. აქ კარგად ხარობს როგორც კაკალი, ვაშლი და მსხალი, ისე ბალი, ალუბალი, ჭანჭური და სხვ.

ხეხილის ბაღები განსაკუთრებით კარგად მოაწყეს ასპინძის კოლმეურნეობა „წითელ მხვნელში“ (თავმჯდომარე ალადინ ბადალოვი), სადაც თითოეულ ხეზე ხშირად რამდენიმე ათეულ ფუთ ნაყოფს ჰკრეფენ, აგრეთვე სოფ. ხერთვისის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც თავმჯდომარის ვაჯიბ აიდინ ოღლის უნარიანი ხელმძღვანელობით ხეხილი 15 ჰექტარზე გააშენეს, სოფ. ქვედა ოშორას სტურუას სახელობის კოლმეურნეობაში (დარგულია 10 ჰექტარი ხეხილი) და სხვ. ასპინძის კოლმეურნეობებში უხვ მოსავალს იძლევიან ისეთი ძვირფასი ჯიშები, როგორიცაა ვაშლი: სინაპი, რენეტი, სულალმასობა, კარაფილა, ფაშა, მსხალი: თავრიზული, ნანაზირი, ყაბადარ, მუდი და სხვ.

კოლმეურნეობები ხილის უხვ მოსავალს იღებენ

ახალციხე („კომუნისტის“ სპეც. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებში ხილის უხვ მოსავალს იღებენ. სოფ. აწყურის კოლმეურნეობა „სოციალიზმისაკენ“-ში, სადაც თავმჯდომარედ ისმაილ ისა ოღლი მუშაობს, ბაღები კარგად არის მოვლილი. კოლმეურნეობაში სტახანოვური მუშაობით განსაკუთრებით ისახელა თავი პირველმა ბრიგადამ, რომელსაც ქამალ სულეიმან ოღლი ხელმძღვანელობს. ბრიგადამ დაავალება 150-მდე პროცენტით შეასრულა. ბრიგადაში ყველაზე მეტად დაწინაურდა მერგოლე ზადა ემინ კზი.

ხეხილი კარგად არის მოვლილი აგრეთვე ახალციხის სტალინის სახელობის, ურავლის 26 კომუნარის სახელობის და მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებში. თითო ხეზე ხშირად 50 ფუთამდე და ზოგან მეტ ნაყოფსაც ჰკრეფენ. სოფ. ურავლის კოლმეურნეობაში გიულ ხანუმ შარიფ კზი, რომელსაც ძმა და მამა ფრონტზე ჰყავს, კრეფის დღიურ ნორმას 150 პროცენტით ასრულებს, ახალციხის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ლიუსია გრიგორიანი — 300 პროცენტით.

ოსტრეცოვსკელ კოლმეურნეთა მოწოდების პასუხად

ახალქალაქი („კომუნისტის“ სპეც. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებმა მთლიანად აიღეს იაროსლავლელ და ოსტრეცოვსკელ კოლმეურნეთა პასუხად თავდაცვის ფონდისა და ძმური დახმარებისათვის დათესილი 52 ჰექტარი პურის, 80 ჰექტარი ქერისა და 2.5 ჰექტარი ცერცვოვანების მოსავალი. მიმდინარეობს კარტოფილის მოსავლის აღება 2 ჰექტარზე. ამავე მიზნით კოლმეურნეობებში გამოსაზრდელად და გასასუქებლად გამოყოფილია 30 ხბო, 143 სული თხა და ცხვარი, 52 გოჯი და ღორი. გერმანელი ოკუპანტებისაგან განთავისუფლებული კოლმეურნეობების დახმარებლად ამ დღეებში დამატებით გამოჰყვეს 400 სული ცხვარი და 100 სული თხა. მარტო სოფელ კოთელიის ჩოდრიშვილის სახელობის კოლმეურნეობაში აღნიშნული მიზნისათვის მოსავალი აიღეს 4 ჰექტარზე და გამოჰყვეს 16 სული საქონელი, კარძახის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში კი მოსავალი აიღეს 15 ჰექტარზე და გამოჰყვეს 15 სული საქონელი.

ბათუმის მხატვრული თვითმოქმედება

ბათუმის ფაბრიკა-ქარხნების მხატვრული თვითმოქმედი წრეების დათვალიერება უკვე დამთავრდა. დათვალიერებაში მონაწილეობდა 16 ორგანიზაციის წრე, რომელთაგან მეორე ტურში გამოვიდა 12. მთელმა რიგმა კოლექტივებმა მიიღეს ქების სიგელი. ინდივიდუალურ შემსრულებელთაგან პირველ ადგილზე გამოვიდნენ და სიგელები მიიღეს პოღოსიანმა, სარქისიანმა, მანუკიანმა, მურანოვმა, პანკოვმა, პოპოვმა, აკიმოვმა, შვაჩკომ, რეფუტკინ, ბაიტელმა, შჩეგლოვმა, ლისოვსკაიამ, შუბლაძემ, ივანოვმა, კონსტანტინიდმ, პეტრიშენკომ, პოკამესტოვმა, პლოხაიამ, იაგოდინმა, კუზმინმა, პინინმა და სხვებმა. მეორე და მესამე ადგილზე გამოვიდნენ აგრეთვე მთელი რიგი შემსრულებლები.

ქართველი მწერლები მებრძოლებთან

ჩვენს მებრძოლებს ეწვია ქართველ მწერალთა ბრიგადა, რომელშიც შედიოდნენ შ. დადიანი, ს. ჩიქოვანი, კ. კალაძე, ს. თავაძე, რ. ქორქია და გ. აბაშიძე.

მწერლებმა ნაწილებში 5 დღე დაჰყვეს. შ. დადიანმა წაიკითხა მოხსენებები თემაზე: „ქართული მწერლობა და სამამულო ომი“.

აღტაცება გამოიწვია მებრძოლთა, სერჟანტთა და ოფიცერთა შორის ს. ჩიქოვანის მიერ წაკითხულმა ლექმა, მიძღვნილმა საბჭოთა კავშირის გმირ ვლადიმერ კანკავასადმი, რომელიც სწორედ ჩვენს ქვეგანაყოფში იბრძოდა.

კ. კალაძემ წაიკითხა ლექსები „საარტილერიო დუელი“ და „ომში მიმავალთა სიმღერა“. ს. თავაძემ — ნარკვევი „სტალინის დროშა“ და ლიტანია „კომკავშირის ხეივანი“. რ. ქორქიამ—ნარკვევი „სიზმარშიც კი...“ და გ. აბაშიძემ—ნაწყვეტი პოემიდან „შავი ქალაქის გაზაფხული“. მებრძოლებმა მწერლებს მხურვალე ოვაციები გაუმართეს.

შეხვედრებზე საკუთარი ლექსები წაიკითხეს მებრძოლებმა, სერჟანტებმა და ოფიცრებმა.

მწერლებმა მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა კავშირის გმირის ნიკოლოზ გოგიჩაიშვილის შეხვედრაზე, რომელიც ამხ. ნანეიშვილის ნაწილში მოეწყო. ამ შეხვედრაზე სიტყვა წარმოსთქვა შ. დადიანმა.

კაპიტანი დ. გაბრიაძე

თბილისის კინოსტუდიაში

თბილისის კინოსტუდიამ მიიღო მთელი რიგი ახალი სცენარები. ს. ევლახოვის სცენარს „დიდი მსაჯული“, რომელიც გერმანელი ოკუპანტების მიერ დანგრეული ქალაქის აღდგენის თემაზეა დაწერილი, დადგამს ნ. პიპინაშვილი. პ. პავლენკოს სცენარი „ჰაზავატი“ აგვიწერს გერმანელ ოკუპანტთა წინააღმდეგ გმირულ ბრძოლებს ჩრდილოეთ კავკასიაში. ამ სცენარით ფილმს დადგამს ს. დოლიძე.

ნ. სანოვმა და ი. პერესტიანმა ა. ყაზბეგის მოთხრობით გააკეთეს სცენარი „ხევის ბერი ჯოჩა“, რომელსაც დადგამს ნ. სანოვი.

ესტონეთისა და საქართველოს ქალთბურთელთა მეორე შეხვედრა

გუშინ თბილისის კიროვის სახელობის პარკის სასპორტო მოედანზე შესდგა ქალთბურთელთა მეორე მატჩი ესტონეთის გუნდის მონაწილეობით. ამჯერად სტუმრებთან სათამაშოდ გამოვიდნენ ადგილობრივი „დინამოს“ ქალთბურთელები. ესტონელები თამაშობდნენ უწინდელი შემადგენლობით; დინამოელები მატჩში გამოვიდნენ ჯორჯაძის, ბუგუშვილის, ქორქაშვილის, ელენსკისა და ბაბახანიდის შემადგენლობით.

თამაშის დასაწყისში ესტონელმა ქალთბურთელებმა განუწყვეტელი იერიშებით უპირატესობას მიაღწიეს და თამაშის პირველი ნახევარი მოიგეს ანგარიშით 16:8.

მეორე ნახევარში თბილისელმა დინამოელებმა გაუმჯობესეს თამაში, თანდათან გაადიდეს გატანილი ბურთების რაოდენობა და მატჩი დაამთავრეს თავის სასარგებლოდ, ანგარიშით 23:19. (საქდესი).



ახალციხის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი ლიუსია გრიგორიანი ხილის კრეფაზე.

ფოტო რ. აკოფოვისა.

თბილი ნივთები წითელ არმიისათვის სამხრეთ-ოსეთი

სამხრეთ-ოსეთის კოლმეურნეები თბილ ნივთებს უმზადებენ წითელ არმიის მებრძოლებსა და ოფიცრებს. უკვე შეგროვებულია და სოლქო კომისიას ჩაბარდა 7.663 წყვილი წინდა და 6.869-ზე მეტი წყვილი მატყლის ხელთათმანი. გარდა ამისა, ოლქის კოლმეურნეებმა 950-ზე მეტი ცხვრისა და სხვა ფვრილფეხა საქონლის ტყავი ჩააბარეს ქეთოუკების დასამზადებლად.

სვეტრების, წინდებისა და თბილი პერანგების მოსაჭრელად კოლმეურნეებმა შეაგროვეს და ჩააბარეს მატყლი, რის გადამუშავებაც უკვე მიმდინარეობს.

განსაკუთრებით წარმატებით მიმდინარეობს თბილი ნივთების შეგროვება ჯავის რაიონის კოლმეურნეთა შორის. სამხედრო მოსამსახურეთა ცოლები—2.000-ზე მეტი ქალი—ამზადებენ წინდებსა და ხელთათმანებს. მათ უკვე ჩააბარეს თბილი ნივთების შეგროვებელ რაიონულ კომისიას 1.565 წყვილი წინდა და 500 წყვილი ხელთათმანი.

ფრონტელთა საჩუქრად სოფელ ჯავის კოლმეურნეებმა 140 წყვილი წინდა და 70-ზე მეტი წყვილი მატყლის ხელთათმანი მოქსოვეს.

ფ. ზასლავი

ყვარელი

ყვარლის რაიონის მეზრომელები მოსავლის აღების დამთავრების შემდეგ შეუდგნენ წითელი არმიისათვის თბილი ნივთების შეგროვებას. რაიონის ცენტრში და სასოფლო საბჭოებში გამოყოფილ იქნა თბილი ნივთების შემგროვებელი კომისიები, რომელთა ენერგიული მუშაობის შედეგად უკვე შეგროვებულია 2.235 წყვილი წინდა და 2.675 წყვილი ხელთათმანი.

წითელი არმიისათვის თბილი ნივთების შეგროვების საქმეში თავი ისახელეს ყვარლის კოლმეურნეობა „გამარჯვებამ“ (თავმჯდომარე ალ. გაფრინდაშვილი), რომელმაც უმოკლეს ვადაში დაამზადა და თბილი ნივთების შემგროვებელ რაიონულ კომისიას ჩაბარა 120 წყვილი წინდა და ხელთათმანი. მას არ ჩამორჩნენ შილდის კუთხიშვილის სახელობის (თავმჯდომარე ვ. ციხკარაშვილი), ხამალხუტის სტალინის სახელობის (თავმჯდომარე აბდულ-ქერიმ ტურიოღლი), წინანდალ სერის სტალინის სახელობის (თავმჯდომარე ს. ჩიბირაშვილი) და სხვ. კოლმეურნეობები.

ყვარლის რაიონის მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა დღემდე გმირ წითელ არმიას დაუმზადეს 240 წყვილი წინდა და ხელთათმანი, მარტო ყვარლის II საშუალო სკოლამ (დირექტორი გ. კევლიშვილი) 100 წყვილ წინდა და ხელთათმანი შეაგროვა.

ს. ხუტილაშვილი

ფრონტელთა ოჯახების დახმარების ფონდში

სიღნაღის რაიონში ჩატარდა ფრონტელთა ოჯახების დახმარების დეკადა. ამ დეკადის განმავლობაში სიღნაღში და რაიონის სოფლებში მოწყობილ იქნა საღამო-წარმოდგენები, რომელთა შემოსავალი გადარიცხულია ფრონტელთა ოჯახების დახმარების ფონდში. სულ შეგროვებულია 239.453 მან.

საღამო-წარმოდგენებს დიდძალი ხალხი ესწრებოდა. დაბა წნორში და სოფელ ბოდბეში საღამოს შემოსავალმა 37.000 მანეთს გადააჭარბა თითოეულში, სიღნაღში შეგროვებულ იქნა 28.678 მანეთი, ულიანოვკაში—21.331 მანეთი და ა. შ.

ი. გოცირიძე
ილ. სიმონიშვილი

ლექციები და მოხსენებები

4 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საქალაქო პარტკაბინეტში (ლენინის 41) შესდგება ამ. **სულეიმანის** ლექცია რუსულ ენაზე. თემა: **„სამამულო ომის მიმდინარე მომენტი და ჩვენი ამოცანები“.** ბილეთების მიღება შეიძლება საქალაქო პარტკაბინეტის ბიბლიოთეკაში დილის 9 საათიდან საღამოს 8 საათამდე.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

თეატრებში

სახ. ოპერა—დილ.,—„ევგენი ონეგინი“, საღ.—„შოპენიანა“, **რუსთაველის** — „ოლიკო დუნდიჩი“, **მარჯანიშვილის** — დილ. — „ხანუმა“, საღ. — „სოლომონ ისაკიჩ, მეჯლისუნაშვილი“, **გრიბოედოვის** — „თავი და ავი ძაღლი“, **სომხური**—დილ. — „ლურჯი მანდილი“, საღ.—„დაკით ბეგ“.

კინოებში

რუსთაველის — „კოლხიდის ჩირაღდნები“, **ოქტომბერი** — „მისია მოსკოვში“, **დამკვერალი**—საზაფხულო — „მსახიობი ქალი“. ზამთრის—„ყაბარდოელი მოჯირითე“, **კომკავშირელი** — საზაფხულო — „ძველ ჩიკაგოში“, ზამთრის—„ოქროს ტბა“, **სპარტაკი** — „ლედი ჰამილტონი“, **ლუქსემბურგის** სახ.— „უჩინარი იანი“.

საქ. სსრ სახლდაზღვევა

ყველა მოქალაქეს შეუძლია დაადზღვიროს ნებაყოფლობითი წესით თავისი საოჯახო ქონება: მოწყობილობა, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და აგრეთვე სამ.-სამ. პროდუქტები, საამქრებლო მასალები და სხვ